პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-40 წელი
№ 42 (11653)

პარასკევი, 19 თებერვალი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

თვითმფრინავ „ილ-18“-დან, 1960 წლის 18 თებერვალი

რანგუნი, ბირმის კავშირის პრეზიდენტს უ ვინ მაუნგს
ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრს ბატონ ნე ვინს

ჩვენმა თვითმფრინავმა ეს არის გადაჭრა ბირმის კავშირის სახელმწიფო საზღვარი. ვტოვებთ რა თქვენი სტუმართმოყვარე ქვეყნის საზღვრებს, დიდი გულთბილობით ვიგონებთ გულითადად შეხვედრებს თქვენთან და მეგობარი ბირმის სხვა თვალსაჩინო სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, შეხვედრებს შრომისმოყვარე და გმირ ბირმელ ხალხთან. რწმენას გამოვთქვამ, რომ ჩვენი შეხვედრები და სასარგებლო საუბრები ხელს შეუწყობენ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. გისურვებთ წარმატებას [illegible] მოღვაწეობაში თქვენი შესანიშნავი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის და დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, [illegible] ბედნიერებისა და [illegible] აყვავებას ბირმის კავშირის ხალხს.

ნ. ხრუშჩოვი

მშვიდობისა და მეგობრობის ვიზიტი
საბჭოთა კავშირ-ბირმის კომუნიკე

ბირმის კავშირის მთავრობის მოწვევით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც ინდონეზიაში მიემგზავრება, მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა ბირმის კავშირში 1960 წლის 16-დან 18 თებერვლამდე. მას ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. უ. ულჯაბაევი, აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ა. თაიროვა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. მ. მარკოვი, სსრ კავშირის ელჩი ბირმის კავშირში ა. მ. ლედოვსკი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა გენერალმა ნე ვინმა ისარგებლეს შესაძლებლობით, რაც ვიზიტმა მისცათ, რათა ჰქონოდათ აზრთა თავისუფალი და გულახდილი გაზიარება საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ ორივე ქვეყნისათვის, აგრეთვე ზოგიერთ გადაუდებელ საერთაშორისო საკითხზე.

აზრთა ურთიერთგაზიარება მოხდა გულწრფელ, გულითად ვითარებაში.

ორივე სახელმწიფო მოღვაწე მოხარული იყო აღენიშნა, რომ საბჭოთა კავშირსა და ბირმის კავშირს შორის ურთიერთობა კვლავ ვითარდებოდა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების საფუძველზე. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარებას თანასწორუფლებიანობის, თვითეული ქვეყნის დამოუკიდებლობის ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის სამინაო საქმეებში ურთიერთ ჩაურევლობის საფუძველზე, არამედ აგრეთვე ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეს.

ამასთან დაკავშირებით მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება ორივე ქვეყანას შორის კულტურული და მეცნიერული გაცვლის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების შესახებ, და ამ მიზნით მიღწეულია შეთანხმება, რომ საჭიროა უახლოეს დროში დაიდოს კულტურული შეთანხმება.

მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება შემუშავებულ იქნას კულტურული და მეცნიერული გაცვლის ურთიერთმისაღები პროგრამა 1960 წლისათვის.

ბირმის პრემიერ-მინისტრმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა ემხრობა ნეიტრალიტეტისა და სამხედრო კავშირებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში პატივისცემით ეკიდებიან ბირმის კავშირის ამ პოლიტიკურ კურსს, რომელიც დადებით წვლილს წარმოადგენს საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ორივე ქვეყნის მთავრობათა მეთაურებს საყოველთაო განიარაღება მიაჩნიათ ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხად, რომელიც დღეს დგას მსოფლიოს წინაშე, რამდენადაც მისი გადაჭრა არა მარტო თავიდან აგვაცილებს საყოველთაო ომის საფრთხეს, რომელიც მძიმე შედეგებს უქადის კაცობრიობას, არამედ იმის შესაძლებლობასაც ქმნის, რომ ფასდაუდებელი რესურსები, რომლებიც ამჟამად შეიარაღებაზე იხარჯება, გამოყენებულ იქნას მთელი მსოფლიოს ხალხებისა და განსაკუთრებით ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნების ხალხების ცხოვრების დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი საკითხის გადასაჭრელად.

ისინი აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ამასწინანდელმა წინადადებამ საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მსოფლიო ინტერესი გამოიწვია. ისინი თანახმა არიან, რომ ეს წინადადება ღირსია ყველაზე გულდასმით განხილულ იქნას განიარაღების შესახებ მომავალ მოლაპარაკებაზე. ბირმის კავშირი მიესალმება საბჭოთა კავშირის მიერ თავისი შეიარაღებული ძალების ამასწინანდელ შემცირებას, რაც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საჭირო მიმართულებით.

ორივე სახელმწიფო მოღვაწემ აგრეთვე იმედი გამოთქვა, რომ ყველა დიდი სახელმწიფო, რომლებსაც ატომგულის იარაღი აქვთ, უახლოეს მომავალში მიაღწევს შეთანხმებას ატომგულის იარაღის გამოცდის სრული შეწყვეტის შესახებ ეფექტიანი საერთაშორისო მეთვალყურეობისა და კონტროლის საფუძველზე. ასეთი შეთანხმების მოლოდინში ისინი მოუწოდებენ ყველა ამ სახელმწიფოს, აგრეთვე სხვა ქვეყნებს ნებაყოფლობით შეიკავონ თავი ზემოხსენებული გამოცდისაგან.

ორივე სახელმწიფო მოღვაწე იმედს გამოთქვამს, რომ მომავალი თათბირი უმაღლეს დონეზე გამსჭვალული იქნება მოლაპარაკებისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით და რომ ეს მოლაპარაკება დადებით შედეგს მოგვცემს. მათ აგრეთვე იმედი აქვთ, რომ თავშეკავების ახლანდელი ატმოსფერო, რომელიც გამეფებულია საერთაშორისო ასპარეზზე, შენარჩუნებულ იქნება და საბოლოო ანგარიშით მოიტანს სამართლიან და მტკიცე მშვიდობას მთელი მსოფლიოსათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ისარგებლა აგრეთვე შესაძლებლობით ენახა არზანის მავზოლეუმი და გვირგვინით შეემკო ბირმის დაღუპულ ლიდერთა საფლავი. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა და მისმა თაწმხლებმა პირებმა ისარგებლეს აგრეთვე შესაძლებლობით დაეთვალიერებინათ ორი ობიექტის — რანგუნის რაიონში ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და სასტუმროს მშენებლობა, რომლებიც შენდება საბჭოთა კავშირის დახმარებით.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ეს ვიზიტი გახდა ძვირფასი წვლილი ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეში და ამით საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეში. ორივე ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა დაადასტურეს თავიანთი მისწრაფება მოახდინონ ორივე ქვეყნის არსებული მეგობრობისა და თანამშრომლობის კონსოლიდაცია და უფრო მეტად განამტკიცონ ისინი.

1960 წ. 18 თებერვალი.

ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმაში

რანგუნი, 16 თებერვალი. (საკადესი). ბირმის მთავრობის მოწვევით აქ ოფიციალური ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც დღეს ეწვია ბირმის კავშირის პრეზიდენტს უ ვინ მაუნგს. ვიზიტის დროს გამართული საუბარი მიმდინარეობდა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში.

იმავე დღის მეორე ნახევარში ბირმის პრემიერ-მინისტრმა გენერალმა ნე ვინმა ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. მათ შორის გაიმართა საუბარი, რომელიც სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

იმავე დღის საღამოს ბირმის კავშირის პრეზიდენტმა უ ვინ მაუნგმა ბანკეტი გამართა საპატიო საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად. ბანკეტს დაესწრნენ საბჭოთა კავშირის მხრივ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები, სსრ კავშირის ელჩი ბირმაში ა. მ. ლედოვსკი, ბირმაში საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელები. ბირმის მხრივ ბანკეტს დაესწრნენ ბირმის კავშირის პრეზიდენტი უ ვინ მაუნგი, ბირმის პრემიერ-მინისტრი გენერალი ნე ვინი, ბირმის მთავრობის წევრები და სხვა ოფიციალური პირები.

ბირმის კავშირის პრეზიდენტმა უ ვინ მაუნგმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

ბირმის კავშირის პრეზიდენტმა უ ვინ მაუნგმა განაცხადა:

თქვენო აღმატებულებავ, ქალბატონებო და ბატონებო!

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თქვენ და თქვენი დელეგაციის წევრები იმყოფებით ჩვენთან. დიდი მოუცლელობის მიუხედავად, თქვენ გამონახეთ შესაძლებლობა იყოთ ჩვენთან, და ამიტომ ჩვენ ბედნიერი ვართ.

თქვენ არა ხართ უცხოელი ჩვენთვის, თქვენმა პირველმა ვიზიტმა პოზიტიური წვლილი შეიტანა ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში, ხოლო მეორე ვიზიტი წარმოადგენს ამ მეგობრობის ძალის მანიფესტაციას. თქვენი ვიზიტი საშუალებას გვაძლევს არა მარტო დავადასტუროთ ეს მჭიდრო მეგობრობა, არამედ აგრეთვე დავადასტუროთ პრინციპები, რომლებსაც ეს მეგობრობა ემყარება. თუმცა ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა მხოლოდ უკანასკნელ ათეულ წელიწადში დაჰყარდა, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ერთგულებამ, რომლებსაც ჩვენ ვიცავთ, მიგვიყვანა უფრო მჭიდრო ურთიერთობამდე, ურთიერთ ნდობამდე და პატივისცემამდე. ამას ადასტურებს ეკონომიური თანამშრომლობა, აგრეთვე კულტურული და კეთილი ნების სხვა გაცვლა ჩვენს ორ ქვეყანას შორის.

ბირმელი ხალხი ინტერესით ადევნებს თვალყურს იმ ღონისძიებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ხალხები იღებენ თავიანთი დიდი ქვეყნის განვითარების მიზნით. ვულოცავთ მათ დიდ მეცნიერულ და ინდუსტრიულ პროგრესს, ვულოცავთ მათ სოციალურ და კულტურულ პროგრესს. ჩვენ ვიცით, რომ ამ წარმატებათა მეოხებით მათ შეუძლიათ განახორციელონ განვითარების კიდევ უფრო დიდებული პროგრამა, და ვუსურვებთ მათ ყოველგვარ წარმატებას მშვიდობიან განვითარებაში. ჩვენ აგრეთვე იმედი გვაქვს და დარწმუნებული ვართ, რომ თვალსაჩინო მიღწევები საპლანეტათშორისო კვლევის დარგში, რომლებიც შესაძლებელი გახდა საბჭოთა ადამიანების მიღწევების მეოხებით, ემსახურება მთელი კაცობრიობის მშვიდობიან პროგრესს.

მთელი მსოფლიო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ დიდი საბჭოეფიები ეძებენ არსებული საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას. ჩვენ მივესალმებით ამ ღონისძიებებს და ბედნიერი ვართ, რომ ვხედავთ საერთაშორისო ატმოსფეროს ახლანდელ შენელებას, რომელიც მართლაც ასახავს იმის მზარდ გაგებას, რომ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები, რა რიგიც უნდა გვეჩვენებოდნენ ისინი, შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი გზით. სწორედ ამიტომ მივესალმებით მოახლოებულ მოლაპარაკებას უმაღლეს დონეზე, რომელმაც დადებითი შედეგები უნდა მოიტანოს.

თქვენო აღმატებულებავ, ქალბატონებო და ბატონებო! გთხოვთ შეუერთდეთ ჩემს სადღეგრძელოს და შესვამ ჩვენი პატივცემული სტუმრის, მისი აღმატებულების ბ-ნ ხრუშჩოვის სადღეგრძელო, მსოფლიო ლიდერების იმ ღონისძიებათა წარმატების სადღეგრძელო, რომელთა მიზანია ხანგრძლივი და სამართლიანი მშვიდობის მიღწევა, მე ვსვამ რუსი ხალხისა და ბირმელი ხალხის ურღვევი მეგობრობის, მისი აღმატებულების საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ვოროშილოვის სადღეგრძელოს, რუსი ხალხის აყვავებისა და ბედნიერების სადღეგრძელოს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა:

პატივცემულო ბ-ნო პრეზიდენტო!

პატივცემულო ბ-ნო პრემიერ-მინისტრო!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

ძვირფასო მეგობრებო!

გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი გულთბილი სიტყვებისათვის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხისა და პირადად ჩემს შესახებ.

მე კვლავ, როგორც ოთხი წლის წინათ, დიდად აღმაფრთოვანებს გულითადი ყურადღება და სითბო, რომელიც გამოიჩინეთ ჩვენს მიმართ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა მიმართ, ბირმის დედაქალაქ რანგუნში. მეგობრობის ამ გამოვლინებას ჩვენ მთლიანად მივაკუთვნებთ საბჭოთა ხალხს, რომელიც მუდამ განიცდიდა და განიცდის გულწრფელ სიმპათიას ბირმელი ხალხის მამაცური ბრძოლისადმი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ გვახარებს, რომ მშვიდობისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში საბჭოთა ხალხი და ბირმელი ხალხი ერთიანი ფრონტით გამოდიან. საბჭოთა კავშირი მიესალმება ბირმის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც ღირსეული წვლილია საერთო საქმეში. ბირმის პარლამენტის მიერ 1957 წელს მიღებული რეზოლუცია განიარაღების, ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღის წარმოებისა და გამოცდის აკრძალვის შესახებ, ბირმის მიერ მხარდაჭერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეტანილი საბჭოთა წინადადებისა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მოწმობენ, რომ ბირმის კავშირი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია თანამედროვეობის ყველაზე საარსებო პრობლემების გადაჭრით. ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ ტრადიციულად მშვიდობისმოყვარე ბირმა, ერთგული აუნგ სანის ანდერძისა, კვლავაც იქნება მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში და ახალ წვლილს შეიტანს დედამიწაზე მარადიული მშვიდობის გამარჯვების კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა კავშირი და მისი მთავრობა დიდი გაგებით და თანაგრძნობით ეკიდებიან ბირმის ხალხისა და მთავრობის ბრძოლას თავიანთი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის, ეროვნული ეკონომიკის, კულტურის აღმავლობისათვის და მუდამ მზად არიან ძმური დახმარება და მხარდაჭერა გაუწიონ ამ საქმეში თავიანთ ბირმელ მეგობრებს.

ჩვენ ქვეყნები არა მარტო მშვიდობიანად თანაარსებობენ, არამედ კარგადაც მეგობრობენ. ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის კეთილი თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი, მეგობრული მიღებისათვის და სულით და გულით ვუსურვო ბედნიერება და აყვავება დამოუკიდებელ ბირმას.

ვსვამ თქვენი გმირი და შრომისმოყვარე ხალხის, ბირმის კავშირის პრეზიდენტის უ ვინ მაუნგის, ბირმის მთავრობისა და მისი მეთაურის ბატონ ნე ვინის, საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის სადღეგრძელოს!

ბანკეტმა მეგობრულ, თავისუფალ ვითარებაში ჩაიარა.

რანგუნი. 17 თებერვალი. (საკადესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ა. ა. გრომიკოს, ნ. ა. მიხაილოვს, გ. ა. ჟუკოვს, ს. ა. სკაჩკოვს, ბირმაში სსრ კავშირის ელჩის ა. მ. ლედოვსკისა და სხვების თანხლებით იყო არზანის მავზოლეუმში, სადაც გვირგვინით შეამკო ბირმის ეროვნული გმირის აუნგ სანის საფლავი.

გვირგვინს აქვს წარწერა: „ბირმელი ხალხის გმირს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხრუშჩოვისაგან“.

ნ. ს. ხრუშჩოვი ჯაკარტაში

ჯაკარტა, 18 თებერვალი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს თვითმფრინავით „ილ-18“ ჯაკარტაში მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლებნი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. უ. ულჯაბაევი, აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ა. თაიროვა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. მ. მარკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ნ. ს. ხრუშჩოვი ინდონეზიაში ჩამოვიდა როგორც სახელმწიფო სტუმარი მეგობრობის ვიზიტით ინდონეზიის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის სუკარნოს მოწვევით. „კემაიორანის“ აეროპორტი სადღესასწაულოდ მორთულია საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის სახელმწიფო ალმებით. აეროპორტის შენობის წინ არის მშვენიერ ყვავილებში ჩასმული ნ. ს. ხრუშჩოვისა და სუკარნოს უზარმაზარი პორტრეტები. წითელ ტილოებზე მკაფიოდ მოჩანს მისალმების სიტყვები ინდონეზიურ ენაზე: „კეთილი იყოს თქვენ მობრძანება, პრემიერო ხრუშჩოვ“. დილაადრიან „კემაიორანის“ აეროპორტისაკენ გაემართა დიდი ჯაკარტის სადღესასწაულოდ მორთულ მცხოვრებთა განუწყვეტელი ნაკადი. თითქმის ყველას ხელში უჭირავს ყვავილების თაიგული, საბჭოთა და ინდონეზიის პატარა ალმები. თვითმფრინავის მოსვლამდე დიდი ხნით ადრე აეროდრომზე შეიკრიბა ათიათასობით ადამიანი, რომლებიც წარმოადგენენ მუშების, გლეხების, ახალგაზრდობის, სტუდენტების, ომის ვეტერანების, ქალების მასობრივ ორგანიზაციებს, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, ათასობით ბავშვი ალმებით და ყვავილთა გირლანდებით.

აეროდრომზე მოვიდნენ პრეზიდენტი სუკარნო და მისი თანმხლები პირები. ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ აგრეთვე პირველი მინისტრი ჯუანდა, კაბინეტის მინისტრები, უმაღლესი სათათბირო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი რუსლან აბდულგანი, პარლამენტის თავმჯდომარე სარტონო და მისი მოადგილეები, უშიშროებისა და თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ნასუტიონი, ინდონეზიის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსები, ქალაქ ჯაკარტის კომენდანტი და მერი, მუნიციპალური საბჭოს წევრები, უცხო სახელმწიფოთა მეთაურების მიმღები კომიტეტის მთელი შემადგენლობა, მთავრობის უმაღლესი თანამდებობის მოხელეები, ინდონეზიის პოლიტიკური პარტიების ლიდერები.

ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში ბ. ნ. ვოლკოვი, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები, მათი ოჯახების წევრები, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, მრავალი ინდონეზიელი და უცხოელი ჟურნალისტი.

ჰაერში გამოჩნდა თვითმფრინავი „ილ-18“, რომელსაც ეფსკორტობენ ინდონეზიის სამხედრო-საჰაერო ძალების რეაქტიული ავიაგამანადგურებლები. თვითმფრინავი აეროდრომზე დაეშვა. ნ. ს. ხრუშჩოვის თვითმფრინავის ტრაპზე გამოსვლისას მის პატივსაცემად გრიალებს ერთა სალუტი 21 ქვემეხის გასროლით. თვითმფრინავთან მივიდა პრეზიდენტი სუკარნო და გულთბადად მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვს. სუკარნომ გააცნო ნ. ს. ხრუშჩოვს თავისი კაბინეტის მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარე სარტონო და სხვა ოფიციალური პირები. ზეიმოვნად ყღერენ საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის ჰიმნები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და სუკარნომ ჩაუარეს საპატიო ყარაულს მწყობრ რიგებს. შემდეგ პრეზიდენტი სუკარნო მიკროფონთან მივიდა და წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა, რომელიც შეაწყვეტინეს ტაშის გრიალით და მისასალმებელი შეძახილებით.

სუკარნოს სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ პრემიერ-მინისტრო ხრუშჩოვ!

ახლა საჭირო ალი არის ვილაპარაკო იმაზე, თუ რაოდენ მხურვალედ მადლობელი ვართ თქვენი აღმატებულებისა იმისათვის, რომ შესძელით მიგეღოთ ჩვენი მოწვევა და ჩამობრძანდით ინდონეზიაში.

ინდონეზიას ადრე უკვე არაერთგზის მიუღია სტუმრები საბჭოთა კავშირიდან — მისი აღმატებულება პრეზიდენტი ვოროშილოვი, თქვენი საპარლამენტო დელეგაცია, კულტურის მოღვაწეთა და სხვათა დელეგაციები. მაგრამ თქვენს ვიზიტს, თქვენო აღმატებულებავ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენს აღმატებულებას ინდონეზიელი ხალხი იცნობს როგორც გამოჩენილ მებრძოლს თქვენი ხალხისა და თქვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის, აგრეთვე როგორც გამოჩენილ მებრძოლს მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

ერთხელ კიდევ მვადლობთ იმისათვის, რომ ჩამობრძანდით ჩვენს ქვეყანაში, იმისათვის, რომ, მიუხედავად დიდ სახელმწიფოთა მეთაურების მომავალი კონფერენციისათვის მზადებასთან დაკავშირებით მთელი მოუცლელობისა, შესძელით ჩამობრძანებულიყავით აქ. მე თქვენი მადლობელი ვარ აგრეთვე იმისათვის, რომ დათანხმდით გააღიდოთ თქვენი ვიზიტის დრო 10-დან 12 დღემდე.

ინდონეზიაში ყოფნის დროს, თქვენო აღმატებულებავ, ეწვევით და ნახავთ ჩვენს ქალაქებს — ჯაკარტას, ბაგორს, ბანდუნგს, ჯოკიაკარტას, სურაბაიას, კუნძულ ბალის, ხოლო თქვენი თანმხლები პირების ნაწილი ეწვევა ქალაქ სოლოს (სურაკარტა) და ქალაქ ამბონს (მოლუკის კუნძულები). იქიდან, რასაც თქვენ ჩვენში ნახავთ, დარწმუნებული ვარ, გამოიტანთ რწმენას, რომ ინდონეზიელი ხალხი მედგრად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის, სამართლიანი და აყვავებული საზოგადოების შექმნისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

ყოველივე ის, რასაც ჩვენში ნახავთ, შესაძლებლობას მოგცემთ უამბოთ მთელ მსოფლიოს, აგრეთვე უმაღლეს დონეზე კონფერენციას, რომ ინდონეზიელი ერი ეწვიოს განუწყვეტელ ბრძოლას იმპერიალიზმის ლიკვიდაციისათვის, რომ ინდონეზიელ ხალხს უყვარს მშვიდობა და სურს მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენი აღმატებულების ვიზიტი გამოიწვევს ჩვენი ორი ხალხის კიდევ უფრო მეტ ურთიერთგაგებას, კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობას ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის.

* * *

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა, რომელსაც ოვაციებით შეხვდნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ძვირფასო მეგობრებო!

ბედნიერი ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა ჩამოვსულიყავით თქვენს ქვეყანაში, რომელზეც ესოდენ ბევრი საინტერესო რამ გვსმენია.

მინდა ერთხელ კიდევ პირადად მხურვალე მადლობა გადავუხადო ჩვენს დიდ მეგობარს პრეზიდენტ სუკარნოს ჩვენი მოწვევისათვის ინდონეზიაში. ეს მოწვევა დიდი კმაყოფილებით და სიხარულით მივიღეთ, რადგან მე დიდი ხანია მსურდა ჩემი თვალით მენახა ქვეყანა, სადაც ცხოვრობს ნიჭიერი და თავისუფლებისმოყვარე ინდონეზიელი ხალხი.

ინდონეზიის მიწაზე ფეხის დადგმისას მინდა უწინარეს ყოვლისა გადაცეს საბჭოთა კავშირის ხალხთა უაღრესად მხურვალე სალამი გმირ 90-მილიონიან ინდონეზიელ ხალხს.

დამოუკიდებელი ინდონეზიის რესპუბლიკის არსებობის დასაწყისიდანვე ჩვენს ქვეყნებს შორის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა დამყარდა. აი უკვე რამდენიმე წელია არსებობს და ვითარდება ჩვენი სახელმწიფოების ხელმძღვანელ მოღვაწეთა შორის პირადი კონტაქტები, რასაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა შორის უკეთესი ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენ კარგად იცით, რომ ინდონეზიელი ხალხის ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის მუდამ ხვდებოდა ჩვენს მხურვალე სიმპათიას. ინდონეზიელი ხალხის სიძნელეები და განსაცდელი, რაც მან გამოიარა, მახლობელი და გასაგებია საბჭოთა ხალხისათვის. თქვენ ყველა სიძნელე არ გადაგიტანავთ, მაგრამ ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ, რაც უნდა დიდი იყოს ეს სიძნელეები, ინდონეზიელი ხალხი, რომელსაც უდიდესი შემოქმედებითი ძალები აქვს, წარმატებით დაძლევს მათ და საბოლოო ანგარიშით აგებს სამართლიან და აყვავებულ საზოგადოებას, რომელზეც ოცნებობს.

ჩვენს შორის მეგობრობა ემყარება ჩვენი ხალხების ისტორიული ბედის მსგავსებას და მთელ რიგ საერთაშორისო საკითხებზე შეხედულებათა ერთობას. საბჭოთა კავშირი და ინდონეზია ერთად იბრძვიან მშვიდობისათვის, კოლონიალიზმისა და დედამიწაზე ყოველგვარი სხვა ფორმების ჩაგვრის მოსპობისათვის, განიარაღებისათვის, იმისათვის, რომ აიკრძალოს ატომგულის იარაღი, რომელსაც საფრთხე მოაჭვს კაცობრიობის ცხოვრებისათვის.

ჩვენ მხარს ვუჭერთ დამოუკიდებელ და აქტიურ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებს ინდონეზიის მთავრობა და პირადად პრეზიდენტი სუკარნო და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს აზიაში მშვიდობის ბედისათვის.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ თქვენს ქვეყანაში მოგზაურობა არა მარტო მოგვცემს შესაძლებლობას ჩვენი თვალით ვნახოთ ინდონეზია და გავიცნოთ მისი შრომისმოყვარე ხალხი, არამედ ამასთან ერთად საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობის შემდგომი განვითარების გზაზე ახალი ეტაპის მომასწავებელი იქნება.

ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მისალმების კეთილი სიტყვებისათვის, ჩვენი ქვეყნისადმი მეგობრობისა და სიმპათიის გამოთქმისათვის.

დიდი მადლობა თქვენ, მეგობრებო, გულითადი შეხვედრისათვის, რომელიც ჩვენ მოგვიწყეთ. მე მეუბნებოდნენ, რომ ინდონეზია საკმაოდ ცხელი ქვეყანაა. ჩვენ ახლა მართლაც ძლიერ სითბოს ვგრძნობთ და არა მარტო მზის სხივების გამო, არამედ სითბოს ვგრძნობთ იმ შეხვედრის გამო, რომელიც ჩვენ, საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს, მოგვიწყეთ.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გადავცე ინდონეზიელ ხალხს საბჭოთა მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის უაღრესად გულითადი სალამი.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში! (ტაში).

* * *

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა შეკრებილებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და სუკარნო, რომლებსაც ყვავილების ფურცლებს აფრქვევენ, ქალაქისაკენ ღია ავტომანქანით გაემართნენ. მთელ გზაში აეროდრომიდან ჯაკარტამდე ქალაქის ქუჩებში და სასახლე ნეგარის წინ საპატიო საბჭოთა სტუმრის მისალმებოდა ჯაკარტის მილიონნი მეტი მცხოვრები. მანქანა, რომლითაც ნ. ს. ხრუშჩოვი და სუკარნო მიდიოდნენ, პირდაპირ ავსეს ყვავილებით.

ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის შეხვედრა ჯაკარტაში გადაიქცა საბჭოთა კავშირ-ინ

ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის

დღეს სმოლნაში

ლენინი, სმოლნი. ამ სიტყვებს ჩვენი ფიქრები გადააქვს ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ, დედამიწაზე ახალი სოციალისტური ცივილიზაციის დამკვიდრების დღეებში.

ეს ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში იბადებოდა ლენინის დროშის ქვეშ, და ყველაფერი, რაც ამ მსოფლიო-ისტორიულ მოვლენასთან არის დაკავშირებული, უსაზღვროდ მახლობელი და ძვირფასია.

დღეს სმოლნაში ვართ. შევდივართ ოთახში, სადაც რამდენიმე თვეს ცხოვრობდნენ ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია. აქ განუწყვეტელ ნაკადად მოდიან მნახველები. ისინი ყურადღებით ათვალიერებენ გარემოს, რომელშიც ვლადიმერ ილიას-ძე ცხოვრობდა, სწავლობენ იმდროინდელ დოკუმენტებს, რომლებიც ვიტრინებშია გამოფენილი. აი „რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია“, რომელსაც ხელს აწერენ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი) და ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იოსებ ჯუღაშვილი — სტალინი. აი რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1917 წლის 16 (29) ოქტომბერს არჩეული სამხედრო-რევოლუციური ცენტრის წევრთა — ფ. ე. ძერჟინსკის, ი. მ. სვერდლოვის, ი. ბ. სტალინის, ა. ს. ბუბნოვის, მ. ს. ურიცკის პორტრეტები.

მუზეუმის პატარა ექსპოზიციას შეეყარეთ იმდროინდელ მჩქეფარე ატმოსფეროში.

...1917 წლის ოქტომბერი. შორიდან, იატაკქვეშეთიდან ლენინი ამზადებს სოციალისტურ რევოლუციას. 20 (7) ოქტომბერს ლენინი არალეგალურად გადმოვიდა ვიბორგიდან პეტროგრადში. საჭირო იყო ყოველგვარი სიფრთხილე, რომ კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის მაძებრებს ვერ მიეგნოთ ლენინის ადგილსამყოფელისათვის. ვიბორგის მხარიდან, კოსსირაციული ბინიდან ლენინი ხელმძღვანელობდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას. აჯანყების დაყოვნება არ შეიძლებოდა — მასები საბრძოლველად მიიწევდნენ, დროებითი მთავრობის დასახმარებლად ფრონტიდან მოდიოდნენ ნაწილები, რომლებიც ჯერ კიდევ მისი ერთგულნი იყვნენ. ლენინი ზუსტად მიუთითებს დღეს, როცა უნდა მოეწყოს გამოსვლა.

6 ნოემბერს (24 ოქტომბერს) გვიან საღამოს ვ. ი. ლენინი ე. რახიას თანხლებით სმოლნაში მივიდა და აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობა აიღო. აჯანყებულები, რომლებიც ლენინის გეგმის მიხედვით არაჩვეულებრივი სისწრაფითა და სიმტკიცით მოქმედებდნენ, გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდნენ. დილით გამოვიდა ლენინის მიერ დაწერილი მიმართვა „რუსეთის მოქალაქეებისადმი!“ მიმართავა იუწყებოდა, რომ დროებითი მთავრობა დამხობილია, ხოლო მალე საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი პირველი საკანონმდებლო აქტები საბჭოთა ხელისუფლებისა — დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ.

აი ისინი, ეს დეკრეტები, დევს ვიტრინის მინის ქვეშ ლენინის ოთახში! ყურადღებით, მღელვარებით კითხულობენ მათ მატროსები, სტუდენტები, მუშები — ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. მათი გული სიამაყით ივსება. საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა საყოველთაოდ ცნობილი და უცვლელია. ამის მკაფიო დადასტურებაა ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ შტანინი წინადადება განიარაღების შესახებ, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ახალი შემცირება.

სმოლნში ლენინის ოთახის ნახვა დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. პატარა საწერი მაგიდა ლამპით, საწერი მოწყობილობით, ძველებური კნოპიანი ტელეფონით, ორი უბრალო სკამი... — ყველა ამ საგანს ბევრჯერ შეხებია ლენინის ხელა. ოვალური მაგიდა, დივანი, ჩალითაგადაკრული ორი სავარძელი, ორი პატარა კარადა შეადგენს მთელ სადა მოწყობილობას.

ხის ტიხარს იქით რკინის ორი უბრალო საწოლი დგას. ეს არის და ეს. მხოლოდ აუცილებელი რამ. ლენინმა თვითონ იზრუნა იმისათვის, რომ სმოლნში მის ბინაში არ ყოფილიყო ფუფუნების არავითარი საგნები, არაფერი ზედმეტი.

ვლადიმერ ილიას-ძის ყველა დღე აღსავსე იყო მჩქეფარე საქმიანობით, ადამიანებთან შეხვედრებით, და მხოლოდ ღამეები შეეძლო მას ლიტერატურული შრომისათვის დაეთმო. სმოლნის ყოფილი კომენდანტი პ. დ. მალკოვი იხსენებს, რომ, როცა იგი ღამეობით ამოწმებდა ყარაულებს, ჩვეულებრივ მიდიოდა ილიჩის კაბინეტთანაც. ოდნავ შეაღებდა კარს, და მუდამ ხედავდა მაგიდასთან მჯდომ ლენინს. ლენინი ზოგჯერ ერთი წამით ასწევდა თავს, ოდნავ გაიღიმებდა ან თავს დაუქნევდა: ნუ წუხდებით, ყველაფერი რიგზეაო, და განაგრძობდა წერას.

მესამე სართულის ამ კუთხის ოთახში, სადაც ვლადიმერ ილიას-ძის პირველი სამუშაო კაბინეტი იყო, მან მოაშზადა და ხელი მოაწერა სახალხო კომისართა საბჭოს პირველ დეკრეტებს „მიწის კომიტეტების განკარგულებაში მიწის გადასვლის შესახებ“, მიმართვას „მოსახლეობისადმი. ძალაუფლებისა და წარმოების საშუალებების მშრომელთა ხელში გადასვლის შესახებ“, „პენსიების გადიდების შესახებ“ და სხვ. აქედან ვლადიმერ ილიას-ძე ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს კერენსკისა და კრასნოვის ჯარების და იუნკერთა ამბოხების გასანადგურებლად. ამავე ოთახში, ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით, გაიმართა სახალხო კომისართა საბჭოს პირველი სხდომა.

ერთი წლის წინათ სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ლენინის კაბინეტის შესასვლელს გაუკეთდა მემორიალური დაფა წარწერით:

„ამ ოთახში, საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე საბჭოთა მთავრობის შექმნის შემდეგ, იყო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პირველი კაბინეტი. აქ ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა საბჭოთა მთავრობის პირველ დეკრეტებს და განკარგულებებს, მართავდა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებს, ხვდებოდა მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს, საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის დელეგატებს“.

არასოდეს არ დაჭნება იმ დღეთა დიდება. და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, დღეს სმოლნში რომ მოდიან, აქ ეზიარებიან თავიანთი მამა-პაპის გმირულ წარსულს. ლენინგრადში არცერთი ადგილი არ არის ისე ძლიერ დაკავშირებული ვლადიმერ ილიას-ძის ხსოვნასთან, როგორც სმოლნი — პროლეტარიატის დიქტატურის პირველი საბრძოლო შტაბი.

შევდიოართ სმოლნის ცნობილ საატო თეთრსვეტებიან დარბაზში. აქ საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე დელეგატები მჭუხარე აღტაცებული ოვაციით შეხვდნენ ვლადიმერ ილიას-ძეს, რომელმაც გამოაცხადა, რომ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

ექსკურსანტების დიდი ჯგუფი ისტორიული თეთრსვეტებიანი დარბაზის პირველ რიგებში ჩამომჯდარა და ყურადღებით უსმენს ლექტორს, რომელიც უყვება მათ სმოლნთან დაკავშირებულ მრავალ რევოლუციურ ამბავს. ჩვენს გვერდით ზის ხნიერი, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მხნე კაცი. „ასეა, ასე“, — ხანდახან ამბობს იგი. შემდეგ მოგვიბრუნდა და განგვიმარტა: „აი მე თვითონ ვიყავი რევოლუციის მონაწილე, და მერწმუნეთო, ყურს რომ ვუგდებ, თითქოს ხელახლა განვიცდი“...

ვვიცნობთ ერთმანეთს. ჩვენი თანამოსაუბრეა პარტიის ძველი წევრი, პიტერელი მუშა ივანე კაპიტონის-ძე ლოგეჩნიკოვი.

— ბევრჯერ შეგხვედრივარ ვლადიმერ ილიას-ძეს ჩვიდმეტ წელს, — გვიამბობს იგი. — მჭონია შემთხვევა მელაპარაკა მასთან, მეგრძნო მისი ხელის ჩამორთმევა.

ჩვენი საუბრით დაინტერესებული ექსკურსანტები ლოგეჩნიკოვს გარს შემოხვევენენ. და მას უკვე უხდება ლექტორის თხრობისათვის თვისი პირადი შთაბეჭდილებების დამატება.

ამ დღეებში სმოლნში ხშირად ნახავთ ვისმე ძველი ბოლშევიკებიდან, რომლებიც ვლადიმერ ილიას-ძეს იცნობდნენ. რევოლუციის ვეტერანებს აქ ხვდებიან ცნობისმოყვარე მსმენელები. მათ აინტერესებთ იცოდნენ ყველაფერი. თვითეული წვრილმანი, რაც ლენინის სახელთან არის დაკავშირებული.

ივანე კაპიტონის-ძეს, რომელიც პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრი იყო, უხდება დაწვრილებით მოგვითხროს თავის შეხვედრებზე ვლადიმერ ილიას-ძესთან.

— ოქტომბრის შემდეგ პეტროგრადის ლითონის ქარხანაში სადაც მე ვმუშაობდი, — გვიამბობს ლოგეჩნიკოვი, — ძმიმე მდგომარეობა შეიქმნა. ქარხანა ომის წლებში სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა, იქ მომუშავენი ფრონტზე წასვლისაგან თავისუფლდებოდნენ, და საწარმოში შემოსულთა შორის ბევრნი იყვნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენიდან გამოსულნი, კერძოდ, წვრილი ვაჭრები, მოხელეები. კულაკები. ამ არაპროლეტარულ ნაწილში მენშევიკები, ესერები იყვნენ. საწარმოს ადმინისტრაცია ყოველნაირად აბრკოლებდა მუშათა კონტროლს წარმოებისადმი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილმა ქარხნის უხუცესთა საბჭომ და მუშათა დირექციამ ვერ იქნა და ვერ დიკავეს მათთვის შესაფერი ადგილი.

რა უნდა გვქნა? მუშებმა ჩვენ სამნი, უხუცესთა საბჭოს წევრები, ლენინთან გაგვგზავნეს. ზამთრის დილით ჩვენ, დელეგატები, ცივ, გაუთბობელ სმოლნში მივედით და შეიარაღებულ დაცვაში მდგომ მატროსებს მივმართეთ, ასე და ასეა, ვლადიმერ ილიას-ძესთან შეგვიშვითო. მაშინ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო — მთელი ქალაქიდან მიდიოდნენ ლენინთან მუშათა დელეგაციები სულ სხვადასხვა საკითხზე. და ლენინი ყველას უსმენდა. გადაწყვეტილებებს სწრაფად იღებდნენ და დაუყოვნებლივ ასრულებდნენ, როგორც ამას ვითარება მოითხოვდა.

ჩვენ გვითხრეს, ვლადიმერ ილიას-ძე ეს არის ახლა მოვიდა თათბირიდან და გთხოვთ რამდენიმე წუთი დაიცადოთო. მე მეჩვენა, რომ ამ წუთებსაც არ გაუვლია, რომ ლენინთან დაგვიძახეს.

ვლადიმერ ილიას-ძე მისაღებში — პატარა, სადად მოწყობილ ოთახში გამოგვეგება. ენერგიული და მოძრავი იყო. თავაზიანად ჩამოართვა ხელი თვითეულ ჩვენგანს, გვთხოვა დავმსხდარიყავით, და საუბარი დაიწყო.

— ვინ არის თქვენგან უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე? — იკითხა საუბარში ვლადიმერ ილიას-ძემ.

მე ვუპასუხე, მე გახლავართ-მეთქი.

— ძალიან კარგი. მაშ რაშია საქმე, ამხანაგებო?

მოკლე, ზუსტი კითხვები სწრაფად მოსდევდა ერთმანეთს. ჩვენ მაშინვე ვიგრძენით, რომ პასუხიც საჭირო იყო მოკლე, ზუსტი, არსებითი. ლენინისათვის ძალიან მალე საკუთარი ნათელი გახდა ქარხანაში შექმნილი მდგომარეობა.

ჩვენც ვლადიმერ ილიას-ძის კითხვებიდან მივხვდით, რომ ჩვენი შეცდომა იყო გაუბედაობა, რაღაც გაუმართლებელი მორიდებულობა ძველი ადმინისტრაციის წინაშე. თქვენ ახლა თვითონ ხართ პატრონები, რევოლუცია მოახდინეთ, ჰო და კვლავაც რევოლუციურად მოიქეცითო, გვითხრა ვლადიმერ ილიას-ძემ.

რომელიღაც ჩვენგანმა შენიშნა, რომ კარგი იქნებოდა ლენინისგან რაიმე ქაღალდი მიგვეღო.

— რეკომენდაციისათვის მანდატებს არ იძლევიან, — იყო პასუხი.

ლენინთან საუბრის რამდენიმე წუთში თვითეული ჩვენგანი თითქოს გარდაიქმნა, მოკრძალა სიტყვიერ და გამბედაობა ახალი გონივრული საქმეებისათვის, და მთელი ჩვენი ეშვები და სიძნელეები როგორღაც ჭკვთალი გახდა. უკან გადაიწია. ჩვენ ახლა მივხვდით, რომ უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი რევოლუციური მოვალეობის შეგნებით, ამასთან დაეყრდნოთ ხალხს. ამაზეც მიგვითითა ლენინმა — მოეთათბირეთ მუშებს, ისე მოიქეცით, როგორც უმრავლესობას სურსო.

ჩვენ ავდექით, და გამოთხოვებისას ლენინმა კვლავ თვითეულ ჩვენგანს გულითადად ჩამოართვა ხელი. ამ ხელის ჩამორთმევაში, ვლადიმერ ილიას-ძის ოდნავ ეშმაკურ, მომჯადოებელ ღიმილში მოწონება და მხარდაჭერა ვიგრძენით. ხოლო ლენინმა კიდევ დასძინა:

— მე თქვენს მხარეს ვარ, თუ საჭიროა, დაგეხმარებით.

ხდება ხოლმე, რომ ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი დიდი, მნიშვნელოვანი მოვლენა თითქოს ფრთებს შეგასხამს, შორეულ და ფართო ჰორიზონტებს გადაგიშლის. მე ბედნიერი ვიყავი ურთიერთობა მქონოდა ვ. ი. ლენინთან, და იქნებ ერთბაშად თვითონაც ვერ გავიგე ეს, მაგრამ ლენინის ყოველი სიტყვა ღრმად ჩამწვდა სულსა და გულში, დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. ადამიანებისადმი ყურადღება, კეთილმოსურნეობა, ცხოვრების ამოცანებზე სწრაფი და სწორი პასუხის მონახვა — განა ამას არ გვასწავლიდა ლენინი! ათეული წლები გავიდა მას შემდეგ, მე კი თითქოს ახლა მესმის ვლადიმერ ილიას-ძის გულშიჩამწვდომი დარიგება.

— ისე მოიქეცით, როგორც სჯობს.

...სმოლნი. იგი გვეჩვენება ხომალდად, რომელიც ახალ კურსს უკავია მთელი დედამიწის ხალხებს. ეს რევოლუციის ფლაგმანია. არასოდეს არ მოიშლება აქეთ ხალხის გზა. ყველა ქვეყნის, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები მოდიან აქ. ზოგიერთი მომსვლელი ფეხით გამოივლის ხოლმე იმ გზას, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის ღამეს ვლადიმერ ილიას-ძემ ვიბორგის მხარიდან გამოიარა თავისი უკანასკნელი კონსპირაციული ბინიდან სმოლნის ინსტიტუტამდე.

პიტერის პროლეტარიატი მაშინ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ირაზმებოდა. ლენინმა ჩამოუარა წითელი გვარდიის შტაბებს და მისი რაზმების ჩამოყალიბების ადგილებს. მალე ეს ძალები მისი ნებით ამოქმედდნენ და ხალხს გამარჯვება მოუტანეს.

სმოლნი და ლენინი. ეს სიტყვები განუყრელია. ეს სიტყვები სამუდამოდ დარჩება ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლოდ.

ო. კარიშევი.

* * *

სურათებზე: ზემოთ სმოლნის წინ ვ. ი. ლენინის ბრინჯაოს სკულპტურა, ქვემოთ — ვ. ი. ლენინისა და ნ. კ. კრუპსკაიას საძინებელი ოთახი.

ფოტო გ. სინელნიკოვისა.





წერილი ლენინგრადიდან

ახლოვდება მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავი. დიდი აღმავლობით დაიწყო ამ შესანიშნავი თარიღისათვის მზადება. დღითიდღე იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც დიდი ბელადის დაბადების დღის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგებიან და კიდევ უფრო აჩქარებენ ჩვენი ქვეყნის წინსვლას ვ. ი. ლენინის მიერ ნაჩვენები გზით კომუნიზმისაკენ. უწყვეტ ნაკადად მოდიან მშრომელები ლენინთან დაკავშირებული ადგილების სანახავად. ყველა მათგანს სურს კიდევ ერთხელ საკუთარი თვალით ნახოს იმ ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, ვის სახელთანაც განუყრელად დაკავშირებულია კაცობრიობის დიადი გაზაფხულის დაწყება. ლენინის დაბადების დღეებისათვის დიდი მზადებაა გაჩაღებული ქალაქ ლენინგრადში.

ჟურნალ „კომუნისტის“ კორესპონდენტის ო. კარიშევის წერილს ლენინის ქალაქიდან.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის სახელოვნ ... წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დიდი დამსახურებისათვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭოთ:

1. **აბაევას ფუზე** ბესარიონის ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქ სტალინირის პირველი საბავშვო ბაღის გამგეს
2. **აბულაძეს მარიამ** თეოფილეს ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქ სტალინირის საშუალო სკოლის მასწავლებელს
3. **ბაკარაძეს გიორგი** ტარასის-ძეს — აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორს
4. **ბეროზაშვილს ირაკლი** გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს
5. **გოლოვკოვას მარიამ** სამოელის ასულს — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საბავშვო დაწესებულებათა უფროს ინსპექტორს
6. **გრიგორიანს ნაშხუნ** სტეფანეს ასულს — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ განძანის საშუალო სკოლის მასწავლებელს
7. **ზახაშვილს თამარ** ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს
8. **თაბუკაშვილს დავით** ტრიფონის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტს
9. **თუმანიშვილს ვალერიან** ალექსანდრეს-ძეს — თბილისის ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორს
10. **ყარბაულს ნატალია** მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სკოლამდელი განათლების უმცროს მეცნიერ თანამშრომელს
11. **ლაბაიშვილს ელისაბედ** ივანეს ასულს — წითელწყაროს რაიონის საშუალო სკოლის მასწავლებელს
12. **მალანიას ოლია** ანტონის ასულს — ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს დაწყებითი სკოლის გამგეს
13. **მახარაძეს პეტრე** მაჭიმის-ძეს — თბილისის 56-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს
14. **მუმლაძეს გრიგოლ** დავითის-ძეს — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორითის საშუალო სკოლის დირექტორს
15. **მუსელიანს (ონიანს)** ელენე მელიტონის ასულს — ლენტეხის რაიონის სოფელ ლენტეხის საშუალო სკოლის მასწავლებელს
16. **მხეიძეს ოთარ** არქიპოს-ძეს — წყალტუბოს რაიონის საშუალო სკოლის დირექტორს
17. **ნორაძეს ლეონიდე** ერისტოს ძეს — მახარაძის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს
18. **სიჭინავას მირიან** მაქსიმეს-ძეს — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს
19. **სტურუას ქეთევან** მელიტონის ასულს — სამტრედიის მეორე საშუალო სკოლის დირექტორს
20. **სურგულაძეს იპოლიტე** გიგოს-ძეს — თბილისის 55-ე საშუალო სკოლის დირექტორს
21. **ქავთარაძეს ალექსანდრე** ერისტოს-ძეს — ჟორჟაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს
22. **ჭეჭელაშვილს ქეთევან** მიხეილის ასულს — ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს
23. **ცანავას ირაიდინა** ვასილის-ძეს — გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წ. 18 თებერვალი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ი. დ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდამეათე წლისთავის გამო და მრეწველობისა და მშენებლობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმწიფო საგეგმო კომისიის ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის განყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. **ივანე დავითის-ძე ბერიძე** დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წ. 18 თებერვალი.

ენგურის ელექტროსადგურის და ქალალდის კომბინატის ფართო მოხმარების საამქროს ზეინკლად მუშაობს ბალტიის წყალქვეშა ფლოტის ყოფილი მეზღვაური კომკავშირელი ი. სემენცოვი. იგი გადაჭარბებით ასრულებს გეგმას და ხაერთო პატივისცემას იმსახურებს.

* * *

სურათზე: ი. სემენცოვი.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

უპასუხისმგებლობა და გამოუყენებელი რეზერვები

სოფელ ილორის-კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობა ოჩამჩირის რაიონში მსხვილი სასოფლო-სამეურნეო არტელია. აქ ყოველგვარი პირობები არსებობს, კოლმეურნეობა შეძლებულთა და მოწინავეთა რიგებში რომ ჩადგეს, მაგრამ არსებულ რეზერვებს ვერ იყენებენ, სუსტია არტელის გამგეობის ხელმძღვანელობა.

კოლმეურნეობის ეკონომიკაში, წამყვანი ადგილი უჭირავს ჩაის კულტურას. ცხადია, ამ დარგს პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდია. არ იცავენ ჩაის პლანტაციების დამუშავების აგროწესებსა და ვადებს. არ ხდება პლანტაციების გადაბარგა და მინერალური სასუქების საჭირო რაოდენობით შეტანა. ამიტომაც არის, რომ ჩაის | პლანტაციების დიდი ფართობი დაკნინებულია, ეკალბარდით არის დაფარული. საკრძნობლად იმატა სიმეჩხერემ. 65 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციიდან ჩაის ფოთოლს კრეფენ მხოლოდ 35 ჰექტარზე. 1957-1959 წლებში გაშენებული ჩაის პლანტაციები განადგურების საფრთხის წინაშეა. ჩაის პლანტაციები გადაქცეულია პირუტყვის სათარეშოდ. ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ჩაის ფოთლის მოსავლიანობა დაბალია. კოლმეურნეობას სახელმწიფოსთვის ჩაის ფოთლის მიყიდვის გასული ორი წლის გეგმები არ შეასრულებია. შარშან 22 ათას კილოგრამზე მეტი ჩაის ნედლეული დააკლო სამშობლოს.

გასული წლების გამოცდილებიდან კოლმეურნეობის გამგეობას (თავმჯდომარე ი. ხოჭავა) ჯერ კიდევ არ გაუკეთებია სათანადო დასკვნები. ამიტომაც არის, რომ ჩაის პლანტაციებში ზამთრის სამუშაოებს ჯერაც არ შესდგომიან. გეგმით 27 ჰექტარი ჩაის პლანტაცია უნდა გადაბარათ, მაგრამ ეს სამუშაო არ შეასრულებიათ. ეკალბარდისაგან არ გაუწმენდიათ 23 ჰექტარი პლანტაცია. შემოუვლელი დარჩათ 5.300 მეტრი სიგრძის ღობე, 44 მეტრზე გაუწმენდავი სადრენაჟო თხრილები. საინტერესოა, რას უცდიან ილორელი კოლმეურნეები? რად უშვებენ ხელიდან ზამთრის ხელსაყრელ ამინდებს?

ილორელებს სახარბიელო მდგომარეობა არც სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანაში აქვთ. თამბაქოსა და ბოსტნეულის დაბალი მოსავალი მიიღეს. ნიადაგის უვარგისობას ამიზეზებენ. სიმინდის ნათესებს არ მოუარეს, ვერ უზრუნველყვეს მოსავლის უდანაკარგოდ და დროულად აღება, დიდძალი სიმინდი და ჩალა მინდვრებში ჩალპა. აი მიზეზი სიმინდის დაბალი მოსავლის მიღებისა, ასეთივე მდგომარეობაა მეთამბაქოობაშიც.

სოფელი ილორი ოჩამჩირეს ესაზღვრება. ეს სანთანადო ყურადღება უნდა ექცეოდეს მებოსტნეობის განვითარებას, რაც კოლმეურნეობას დიდ შემოსავალს მისცემდა. სამწუხაროდ, ეს დარგიც თავმინებებულია, შარშან გეგმით 128 ტონა ბოსტნეული უნდა მიეღოთ. საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულების შედეგად ბოსტნეულის მოსავლიანობის დაკლება მხოლოდ ოცდოდე პროცენტით შესრულეს.

კოლმეურნეობაში მიეიწყებული დარგია საზოგადოებრივი მეცხოველეობაც. პირუტყვი მოუვლელია, ნაკლებად ზრუნავენ წველადობის გადიდებისათვის. შარშან 11 თვეში 39 სული მსხვილფეხა პირუტყვი მოკვდა. ეს-კი ჯოგის 15 პროცენტს შეადგენს. მათ შორის მოკვდა 22 ხბო, რაც წლიური ნამატის 51 პროცენტია. სანახევროდ არის შესრულებული ღორების სულადობის გეგმა.

ილორელები ცუდად მოემზადნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის. ვერ შესასრულეს უხეში საკვების დამზადების გეგმები.

კოლმეურნეობაში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევის ფაქტებსაც. ხშირია საზოგადოებრივი მიწების დატაცების შემთხვევები. საკოლმეურნეო მიწა მითვისებული აქვთ გარეშე პირებს. მიწას უკანონოდ დაეპატრონენ ჯ. წაბარია, კ. ეშბა, მ. სამოილენკო, ე. კამაშევსკი, თ. ბაძაღუა, გ. საჯაია, ხ. ბარკალაია, ხ. ბერიშვილი, ა. ტერეშჩენკო, მ. მამუშკინი, დ. სტაშკევიჩი, ა. ხუხუა, პ. ჩიქოვანი, მ. ჯობავა, ს. საბეკია და სხვები.

აღნიშნული ფაქტები ცხობილია კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ხოჭავსათვის, უფრო მეტიც, იგი ამ დანაშაულობათა აქტიური მონაწილეა.

ი. ხოჭავას საკარმიდამო ნაკვეთი ჰქონდა, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და მიიზომა 0,25 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა და იქ ორსართულიანი სახლი წამოიშენა. კოლმეურნეობის თავმჯდომარის შეუფერებელი საქციელი კარგად ცნობილია არტელის წევრებისათვის. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ მათ წინაშე მან დაკარგა ავტორიტეტი, დაეცა შრომის დისციპლინა. გასულ წელს 50-ზე მეტ შრომისუნარიან კოლმეურნეს არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. ხოლო კოლმეურნეები ვ. სირგანავა, ნ. საბეკია, ე. ბერიძე, ა. ბერიძე, კ. და ნ. ღვინჭილები და სხვები თვითნებურად წავიდნენ კოლმეურნეობიდან.

კოლმეურნეობის გამგეობა და მისი თავმჯდომარე ღრმად ვერ სწვდებიან არტელის ეკონომიკას, სათავეში არ უდგანან კოლმეურნეთა შრომითს აქტივობას. პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ვ. კიტავა) როდი რაზმავს კომუნისტებს იმისათვის, რომ იყვნენ საკოლმეურნეო შრომის ავანგარდში, თვით პარტიული ორგანიზაციის მდივნის ოჯახი მონაწილეობას არ იღებს საკოლმეურნეო შრომაში. საკოლმეურნეო შრომას თავს არიდებენ კომუნისტები ო. უბილავა და მისი ოჯახის წევრები.

სოფელ ილორის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის ჩამორჩენაში ბრალი მიუძღვით პარტიის ოჩამჩირის რაიონულ კომიტეტსა და რაისაბჭოს აღმასკომს, რომლებიც დაინტერესებული არ არიან ამ კოლმეურნეობის ყოველდღიური ცხოვრებით, არ ეხმარებიან მას ჩამორჩენის გამოსწორებაში.

სანამ გაგრძელდება ასე, კოლმეურნეობამ უნდა დააღწიოს თუ არა თავი ჩამორჩენისა?

ი. გოგბერიძა,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ეკონომიკა ფოსტიდან

◆ **ლენინის სახელობის შახტის მუდმივმოქმედ აგიტპუნქტში სისტემატურად იმართება ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი. ამ აგიტპუნქტში ხშირად ეწყობა ტყიბულელ მშრომელთა შეხვედრები წარმოების მოწინავე ადამიანებთან. ამას წინათ შეხვედრა მოეწყო ცნობილ მამაელ მეშახტე შ. კუბლაშვილთან.**

ნ. ჯინჯიხაძე.

* * *

◆ **ამას წინათ ჭულუკიძეში საფუძველი ჩაეყარა ახასწოლიანი საავადმყოფოს შენობას. საავადმყოფო მოეწყობა საბჭოთა სამედიცინო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამჟამად დასასრულს უახლოვდება სოფელ გვიშტიბის ოცდახუთსაწოლიანი საავადმყოფოს შენობის აგება. იგი საკუთარი სახსრებით ააშენა ამავე სოფლის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ.**

შ. ჯინჭველაშვილი.

* * *

◆ **ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ცხვრის ფარები შირაქში იზამთრებენ. მეოთხე ბრიგადის მწყემსი ა. უაჯრიშვილი საღამოს ცხვარს მინდვრიდან ბინისაკენ მიერეკებოდა. უცებ ტყიდან მგლები გამოცვივდნენ. მოდარაჯე ნაგაზმა შეუტია, მაგრამ ბროვის წინააღმდეგ რას გახდებოდა? უაჯრიშვილი არ დაიბნა, მხრიდან თოფი მოიხსნა და მგლებს დაუშინა. ერთი მოკლა, მეორე დაჭრა, სხვებმა კი მოკურცხლეს. ცხვარი ხიფათს გადარჩა.**

უაჯრიშვილმა კოლმეურნეთა მადლობა დაიმსახურა.

ჟ. სიმონიშვილი.

საკოლმეურნეო მინდვრებში

ცხაკაია მზიანი, თბილი ამინდებია. ნათლად იგრძნობა გაზაფხულის მოახლ

ᲕᲝᲚᲔᲯᲘᲐ ᲕᲐᲯᲘᲡᲐ

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ფანჯრიდან გადაყურებთ ᲕᲐᲯᲘᲡ თვალწარმტაც ველს, დილის ᲡᲘᲠᲔᲑᲘᲡ სხივებზე რომ აციმციმებული და ᲞᲝᲡᲘᲝᲜᲘᲡ თოვლიანი მუზარადები ᲒᲐᲛᲘᲡᲘᲠᲔᲑᲘᲡ რომ გადმოსდგომია. რაც უფრო ᲛᲘᲐᲚᲝᲐ ლიანდაგთან სახლები, ბაღები, ᲛᲘᲠᲔᲑᲘ, ისინი მით უფრო მეტი სისწრაᲤᲘᲗ ᲒᲐᲠᲑᲘᲐᲜ მატარებლის მოძრაობის საᲛᲘᲜᲐᲐᲚᲓᲒᲔᲒᲝ მიმართულებით, ხოლო ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ შორსაა მიწის ლანდშაფტი, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ასდევნებია მატარებელს. და ᲛᲘᲡ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ, თითქოს დედამიწის ბრუᲗᲕᲘᲡ თვალნათლივ ხედავს.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲐ ზამორობით საქართველოს ᲛᲘᲜᲔᲑᲐᲪ კი თითქოს ღარიბია, უფექტო, ᲣᲤᲠᲝᲓᲔᲚᲘ: ტანშიშველი ხეები, ᲩᲝᲜᲩᲘᲚᲘᲡᲐᲜ ბაღები, სიცივისაგან მიძინებული ᲓᲐᲓᲐᲒᲘ. ერთი სიტყვით, ზამთარში სეᲖᲝᲜᲘᲡ მომგვრელია არე-მარე. მაგრამ... მაᲒᲐᲛ კაᲛᲘᲗი მაინც სხვაა. აქ მაინც სუᲚᲘᲡ და გულს ხიბლავს ადამიანის ხელით ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲖᲐᲛთარი თუ შრომით გარდაქმნილი ᲚᲐᲜᲓᲐ.

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ თითქოს ფეხდაფეხ მოᲡᲚᲘᲡ თვალუწვდენელი ველნახები, უკვე ᲨᲔᲡᲚᲣᲚი, მავთულებზე თავშესკვნილი, ᲓᲐᲒᲠᲔᲣᲚი და ფეხქვეშ ნიადაგ გაფხᲘᲠᲔᲑᲣᲚი ვაᲖᲘᲡ პლანტაციები. თითᲝᲜᲚᲘᲡ გარიათური წოგნის ფურცლები ᲓᲐᲜᲔᲡᲘᲡ წინ, ამ წიგნის ფურცლებზე ᲛᲐᲡᲘᲡᲛᲝᲑᲘᲗ სტრიქონები ჩაირბენენ. თუ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ თვალს გაადევნებ, ამᲘᲗᲮᲝᲗᲐᲐ ქართლის ცხოვრებას: რომ ქაᲗᲝᲕᲔᲚᲘ ხალხისათვის მეევნახეობა ძვეᲚᲗᲐᲒᲐᲜᲖᲔ მეურნეობის უსაყვარლესი ᲓᲐᲠᲒი იყო და მისი ეკონომიური ძლიᲠᲔᲑᲘᲡ უპირველესი საფუძველი, როცა ᲛᲗᲐᲠᲔᲚᲘ კაცი ახლად ესახლება, ვიდᲠᲔ სახლს აგებდეს თავის საკარმიდამო ᲛᲘᲬᲐᲖᲔᲗᲨᲘ, ყველაზე პირველად ვაზს ჩაᲥᲘᲚᲘᲡ ხოლმე. ვაზია მისი ᲕᲘᲠᲘᲡᲐ და ᲛᲘᲬᲘᲡ ნამდვილი გვირგვინი. ჩვენი ქვᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ვაზის დიდი მნიშვნელობა ᲛᲘᲪᲝᲓᲜᲔᲡ ვერაგმა დამპყრობლებმაც და ᲓᲐᲬᲠᲘᲤᲠᲔᲓ ამიტომ ყოველი მისი შემოსᲕᲚᲘᲡ დროს ადამიანებთან ერთად უპირვᲔᲚᲔᲡᲚᲔᲓ ვაზს ანადგურებდნენ, რათა მოᲒᲘᲗᲮᲝᲗ ხალხის ძირითადი ეკონომიკური ᲙᲐᲠᲒᲘᲡᲐᲒᲐᲜ აფუძველი, და ამით უფრო დაეუძლეᲣᲚᲔᲑᲝᲜᲐᲗ, დაესუსტებინათ და საბოლოოდ ᲓᲐᲠᲒᲐᲧᲠᲝᲗ ჩვენი სამშობლო. მაგრამ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ მტრის ამ მუხანათობისა, ᲩᲕᲔᲜი ხალხი მაინც ალადგენდა ვაზს და ᲛᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ანვითარებდა მეევნახეᲝᲑᲐᲡ.

გადახედეთ კახეთის სოფლებს და ᲗᲕᲐᲚᲜᲐᲗლივ ამოიკითხავთ ქართლის ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ახალ ფურცლებსაც, რომ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხელისუფლების პირობებში საᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მევენახეობა განსაკუთრᲔᲑᲘᲗ განვითარდა და მიმდინარე შვიდᲬᲚᲔᲓᲨᲘ მისი გრანდიოზულად გაფარᲗᲝᲔᲑᲐᲐ დასახული.

დიდი პერსპექტივებია გადაშლილი ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ რაიონის სოფელ აკურის კოᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ „მოწინავეს“ წინაშე. აქ ვაზი გაშენებულია 260 ჰექტარზე.

— ᲐᲮᲐ რა დაივლის ამ ვრცელ ფარᲗᲝᲑᲔᲑს ასე ერთბაშად? — ვამბობთ ცოᲢᲐ შეცბუნებული.

— მთელი ფართობის დავლა რა საᲭᲘᲠᲝა, მათ შესახებ მხოლოდ ერთი ციᲤᲠᲐ გვეტყვის ყველაფერს, — გვეუᲑᲜᲐ „მოწინავეს“ თავმჯდომარე ავქსᲔᲜტი ქევხიშვილი, — ჩვენმა კოლმეურᲜᲔᲑᲐმ მარტო ყურძნის ჩაბარებიდან 1959 წელს 7 მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღო. ჩვენი კოლმეურნეᲝᲑა რვა ბრიგადისაგან შესდგება. მათ შორის განსაკუთრებით მეხუთე ბრიგადა — კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა გამოირჩევა. მას აგერ უკვე ოთხი წელია მოწინავე ახალგაზრდა კოᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ გაიოზ მჭედლიშვილი ხელმძღᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑს. ახლა ჩვენ გ. მჭედლიშვილის ბრიგადის „საბრძანებელში“ ვართ, მართა რაიონის მევენახეᲗᲔᲑს. ეს ინიციატივა მდგომარეობს ვაზის მეჩხერიანობის წინააღმდეგ ეფეᲥᲢᲣᲠი ღონისძიების „მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში გატარებულ ღონᲘᲡᲫიებათა შედეგად მნიშვნელოვნად შემᲪᲘრდა მეჩხერიანობა, იგი მაინც აღემატება 10 პროცენტს. — ვკითხულობთ აღნიშნული ბრიგადის მიმართვაში... — მეჩხერიანობის შედეგად გვაკლია 24-25 ᲰᲔᲥᲢᲐᲠი ვენახი, სადაც წლევანდელი საშუალო მოსავლიანობის კვალობაზე დავკარგეთ სულ ცოტა 1.700 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠი ᲧᲣᲠᲫᲔᲜი, რაც ფულად ნახევარ მილიონს აღემატება“... მეჩხერიანობა ხომ სხვა მხრივაც საზიანოა. ვაზ გამეჩხერებულ ფართობებს მაინც სჭირდება სარმავთული, ხენა, ბარვა, თოხნა, ზოგჯერ შრომის თითქმის 20 პროცენტი ამაოდ იკარგება და სათანადოდ ვერ ვიყენებთ შინა რეზერვებს. სწორედ ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის გააჩაღა ბრძოლა აკურელმა „მოწინაველებმა“, კომუნისტური შრომის ახალგაზრდულმა ბრიგადამ.

ახალგაზრდა მევენახეები მეჩხერიანობის ლიკვიდაციას ახდენენ ვაზის გადაწᲕᲔნის, გადახვევნების და გამორგვის მეᲗᲕᲔᲝᲑით. მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლა, მიმდინარე წელს დაწყებული, დამთავრდება 1962 წელს. ამ ხნის მანძილზე ბრიგადას გათვალისწინებული აქვს 80 ათასი ძირი ვაზის გადაწვენა და 30 ათასი ძირის გამორგვა, რითაც შეიესება ვაზის სიმეჩხერით გამოწვეული ზარალი დაახლოებით 24-25 ᲰᲔᲥᲢᲐᲠის რაოდენობით. ბრიგადას აგრეთვე დამატებით დაგეგმილი აქვს 50 ათასი ცალი ნამყნის გამოყვანა. ამ ვალდებულებათა წარᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ შესრულების მიზნით ბრიგადა ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში გურᲯᲐᲐნის რაიონის სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელებსა და ახალგაზრდებთან...

ჩვენ ახლა გომმორის მთის ერთ მომᲪᲠო კალთაზე ვართ, საიდანაც ხელისგულივით გავიცქერით კავკასიონის მწვეᲠᲕᲐᲚებს, შორს, ალაზნის გალმა, გუᲛᲘᲡ ნანგრევებს, უფრო შორს, ყვარლის რაიონის მთებს და კუდიგორას სილუᲔᲢს, ჩრდილო აღმოსავლეთით, ბახტრიონისაკენ, ოკეანეში მცურავ გემივით მოსჩანს ალავერდის თოვლისფერი ტაᲫარი. გავიცქირით საქართველოს ამ მშვენიერებას და გონებაში ეოცხლდებიან ქართველი პოეტის სტრიქონები:

„გომმორის მთიდან სიმღერით,
სიცოცხლის გადასახედი,
მოსჩანს ირისფერ ნისლებში
კახეთი, ჩემი კახეთი...“

და მე სიყვარულით ვიმეორებ ჩემი თანამოკალმის სიტყვებს...

ᲐᲜᲓᲠᲝ ᲗᲝᲕᲖᲐᲫᲔ.

სოფ. აკურა. თელავის რაიონი.

„ᲓᲦᲔ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ, ᲓᲦᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ“

ᲙᲘᲜᲝ

ᲠᲝᲪᲐ შარშან ზაფხულს რეჟისორმა სიკო დოლიძემ თავის მომავალ ფილმზე — „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ — ჩამოაგდო ლაპარაკი, საინტერესოდ და ორიგინალურად მოგვეჩვენა მისი ჩანაფიქრი, რომელშიც ისახებოდა დიდი შესაძლებლობანი კინემატოგრაფიული განხორციელებისათვის.

და აი ფილმი (სცენარი ს. დოლიძისა და ე. აგრანოვიჩისა) ამას წინათ ეკრანებზე გამოვიდა.

ფოსტალიონი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ემსახურება თქვენს ოჯახს, ყოველთვის ცოტაოდნად მისი საქმეების კურსშია. თუ დაინახა, რომ თქვენი ბინის კარი ღიაა, მაშინ როცა თქვენი ოჯახის არცერთი წევრი შინ არ უნდა იყოს, მას, რა თქმა უნდა, შეუძლია ამის შესახებ დაგირეკოთ სამუშაოზე. თუ თქვენ შეუძლოდ ხართ, იგი ისევე როგორც ყოველი სხვა, თუნდაც უცხო ადამიანი, გამოუძახებს ექიმს და დაგეხმარებათ მის მოსვლამდე... რა თქმა უნდა, მხატვარს, რომელსაც გიორგი თავის შემცვლელს წარუდგენს, შეუძლია მიიწვიოს ისინი და რამით გაუმასპინძლდეს, ხოლო მგზავარე, გულწრფელ ქალიშვილს შეუძლია თანაუგრძნოს მხატვარს და გაუღვიძოს მას სიმპათია და მისი პორტრეტის დახატვის სურვილი...

საერთოდ, სიკო დოლიძის ახალი ფილმის სიუჟეტური სქემა, ჩვენი აზრით, უძლებს კრიტიკას. მართალია, შეუძლიათ თქვან, ერთი დღის განმავლობაში ძალიან ბევრი ამბები ხომ არ ხდებაო. ამაზე ასეთი პასუხი შეიძლება იყოს: ხელოვნების ნაწარმოებებისათვის მოქმედების ასეთი სისავსე სულაც არ არის უცხო. საკითხავია სხვა: რა დგას თვითეული ეპიზოდის უკან.

ერთი რამ გვინდა ერთბაშად ვთქვათ. რეჟისორს კარგი არჩევანი გაუკეთებია, როცა გიორგის როლის შემსრულებლად მსახიობი სერგო ზაქარაძე მიუწვევია. გიორგის როლი, რა თქმა უნდა, ადვილი როდია. როგორ სძლევდა მსახიობი სიძნელეებს, ამის განსჯა შეუძლია თვითონ მას და არა ჩვენ. მაგრამ ეს სიძნელეები მსახიობს მაყურებლისათვის შეუმჩნევლად რომ დაუძლევია — ეს უეჭველია.

იდეურ-მხატვრული მხრივ გიორგის სახეს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან რეჟისორმა, ხოლო შემდეგ მსახიობმა მასში დაინახეს და გვიჩვენეს კომუნისტური ზნეობის იდეათა მატარებელი, რომლისთვისაც გულკეთილობა, ადამიანებისადმი დიდი გულსხმოერება შინაგანი აუცილებლობაა. გიორგის სახით ნაჩვენებია ახალი კომუნისტური დამოკიდებულება ადამიანებისადმი, საზოგადოებისადმი.

მაგრამ ამასთან ერთად ფილმს გააჩნია ნაკლოვანებები, თანაც პრინციპული ხასიათის ნაკლოვანებები.

თანამედროვეობის ასახვის სურვილის გამო ფილმის ავტორები მოსდებიან ყველა პრობლემას, რომლებიც დღეს საბჭოთა ადამიანებს აღელვებს — აქ კოსმოსში გაფრენაც არის, დამნაშავეთა გარდაქმნაც, სინამდვილესთან მხატვრის დამოკიდებულებაც და ბევრი რამ სხვა. ერთბაშად ბევრ აქტუალურ პრობლემას რომ შეეხნენ, მათ სხვადასხვა თემიდან ვერც ერთის ღრმა და ყოველმხრივი გადაწყვეტა ვერ შეძლეს.

ფილმის ავტორებს არა ერთხელ ღალატობს ზომიერების გრძნობა. განსაკუთრებით არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ამ მხრივ ეპიზოდი მელოვინესთან. მაგრამ შეიძლება მოვიყვანოთ სხვა მაგალითებიც, კერძოდ ისეთი, როგორიც არის ფილმის ავტორების გატაცება გაზეიადებით.

დავიწყოთ იმით, რომ ლამარას, ინჟინრის ქალიშვილს სკოლა მედლით დაუმთავრებია, რა თქმა უნდა, ოქროს მედლით. გიორგის ეაჟი მეცნიერი მუშაკია, რასაკვირველია, მეცნიერებათა დოქტორი. მოსალოდ დეპეშას გიორგი იღებს კავშირგაბმულობის არა თბილისის საქალაქო განყოფილების უფროსისაგან, არამედ, რასაკვირველია, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრისაგან, გიორგის ორდენიც აქვს, თანაც უმაღლესი.

დამაჯერებელი არ არის ლამარას გადაწყვეტილება სამუშაოდ წავიდეს ფოსტაში, ვინაიდან ფილმში არაფერი არ არის ნათქვამი ამ ქალიშვილის ინტერესებზე, გეგმებსა და მიდრეკილებაზე. იმ მიზეზებზე, რომლებითაც იგი ფოსტაში წავიდა სამუშაოდ.

ვაჟა, რომელიც ლამარას უყვარს დაემდურება მას, რადგან ლამარამ არ ისურვა სამუშაოს მიტოვება მას შემდეგაც კი, როცა ამბანაგმა ვაჟას „ფოსტა-ტელეგრაფის სიძე“ უწოდა. ფილმის დასასრულს ისინი ერთმანეთს ურიგდებიან, იმიტომ, რომ ერთმანეთი უყვართ. მაგრამ ვაჟა ფილმში სრულებითაც ვერ დარწმუნდა, რომ ლამარამ სწორი გზა აირჩია. და ვინ იცის, იქნება მათ ახალი უკმაყოფილება მოელით, ამჯერად საბოლოოო.

სამწუხაროდ, ლამარას და, მით უმეტეს, ვაჟას ხასიათი, დანარჩენ მოქმედ პირებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, მხოლოდ მოხაზულია. მართალია, ეს ახალგაზრდა გმირები ორივენი გულწრფელი და მომხიბლავი არიან. მაგრამ ეს უკვე ამ როლების შემსრულებლების — ბელა მირიანაშვილისა და მალხაზ გორგილაძის დამსახურებაა, რაც სცენარზე ნაკლებად არის დამოკიდებული.

„დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ ჩინებულად არის გადაღებული ოპერატორ ლევან პაატაშვილის მიერ, რომელმაც განიმტკიცა სხვა ფილმებში მოპოვებული კარგი სახელი. მაღლა აღმართული კიბეები, დროისაგან გაშავებული ხის აივნები, ქალაქის პეიზაჟები, გიორგის, ლამარას, ვაჟას პორტრეტები... ყოველივე ეს დასამახსოვრებელია. დიახ, ოპერატორმა შეძლო აღებეჭდა ჩვენი ᲗᲑᲘᲡᲐ და ᲰᲐᲑᲣᲯᲘ ქალაქის თავისებური სილამაზე.

თანადროული და ეროვნულად გარკვეულია კომპოზიტორ დავით თორაძის მუსიკა. ცალკეულ ნაკვეთებში, მაგალითად, ფოსტალიონებთან ქორდის პირველი შეხვედრის ეპიზოდებში, იგი დიდ მეტყველ ძალას აღწევს. დასამახსოვრებელია სიმღერები.

და მაინც ფილმი ვერ აკმაყოფილებს ჩვენი მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

რეჟისორი ს. დოლიძე ჩვენი კინოს იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც შეიძლება დიდი მოთხოვნები წავუყენოთ და კიდეეაც უნდა წავუყენოთ.

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲒᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: კადრი ფილმიდან „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“.

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲜᲐᲣᲛᲝᲥᲛᲔᲓᲠᲘᲗ მუშაობას ეწევიან თბილისის სარეწაო კოოპერაციისა და ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლთან არსებული მხატვრული თვითმოქმედების თეატრალური კოლექტივები.

შარშან ქართულმა დრამატულმა კოლექტივმა (ხელმძღვანელი ირ. გრატიაშვილი) მრავალრიცხოვან მაყურებლს უჩვენა ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, კ. ბუაჩიძის „მზეკალა“. ამჟამად დასადგმელად მზადდება ა. შირვანზადეს „პატიოსნებისათვის“.

რუსულმა დრამატულმა კოლექტივმა (ხელმძღვანელი ნ. ტროიანოვი) წარმოადგინა ლოპე დე ვეგას „სურიანი ქალიშვილი“, ოლშანსკის „ალმასოვის დაღუპვა“ და ამჟამად მუშაობს ნ. ტროიანოვის პიესა „ხიდზე“.

ქართულ დრამატულ კოლექტივში აქტიურად მუშაობენ წრის წევრები: „თბილპუროვაჭრობის“ № 48 მაღაზიის გამგე ვ. ათანელიშვილი, ბიბლიოთეკარი მ. თავართქილაძე, გამყიდველი ფ. კერესელიძე, პენსიონერი ბ. ანდრონიკაშვილი და სხვები.

კულტურის სახლთან არსებულ ლიტერატურულ წრეში (ხელმძღვანელი მ. სანიკიძე) გაერთიანებულია 28 კაცი. მათ შორის სტუდენტი ლ. შალვაშვილი, პენსიონერი ვ. გოგიშვილი, მაღაზიის გამგე გ. ბაბუაძე, ექსპედიტორი რ. ამილახვერი, მოანგარიშე ბ. ნიშნიანიძე, მცველი ს. ხათაშვილი და სხვები. წრის წევრები გამოსაცემად ამზადებენ ალმანახს. მათ შეხვედრები მოუწყეს საბჭოთა კავშირის მწერალთა მესამე ყრილობის დელეგატებს გ. ნატროშვილს, ხ. ბერულავას, პოეტებს მ. მაჭავარიანს, ნ. კილასონიას, მ. კახიძეს და სხვ.

ლიტერატურულმა წრემ მოაწყო საღამოები, დისპუტები, განიხილა რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, გ. ძნელაძის ლექსები. წრის წევრები უშვებენ კედლის გაზეთს.

ამას წინათ ლიტერატურულმა წრემ შემოქმედებითი შეხვედრა მოუწყო პლეხანოვის კლუბთან არსებული ლიტერატურული წრის წევრებს. წრის მუშაობაში მონაწილეობენ ოსი პოეტი ი. კაკაზაური, ფილოლოგი ი. პავლიაშვილი და სხვები.

ᲘᲕ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲝᲛ ᲜᲐᲠᲒᲛᲐ ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲝᲡ...

ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ წლებში საქართველოში ვენახების საერთო ფართობი 150-200 ათას ᲰᲔᲥᲢᲐᲠამდე უნდა გაიზარდოს. ცხადია, გაიზრდება მოთხოვნილება ვაზის სარგავ მასალაზე.

დღეს ნამყენი გვაკლია, იმიტომ რომ საქართველოში საკმარისი რაოდენობით არა გვაქვს ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეები, ხოლო რაც არის, ისიც მოუვლელი და გაპარტახებულია, ნამყენის გამოსავალი ხშირად 15-20 პროცენტს არ აღემატება. მეცნიერებმა შეიმუშავეს ვაზის სარგავი მასალის წარმოების ახალი პრაქტიკული მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ელექტროენერგიის გამოყენებას.

ცნობილია, რომ სანერგეში ვაზის ნერგი ჩვეულებრივი წესით ძალიან გვიან ივითარებს პირველადს ფესვებს. პრაქტიკულმა დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ მაისში დარგულმა ნერგებმა პირველადი ფესვები განვითარეს მხოლოდ 16 ივლისს, ამ დრომდე სარგავი მასალა რქაში არსებული საკვები ნივთიერებით იკვებებოდა. ბუნებრივია, რომ ნერგი თანდათან დასუსტდება და სანამყენოდან სათბურში გამოტანილი ხმება.

ნერგის გამოყვანის მეთოდებს შორის საუკეთესო შედეგები მოგვცა ელექტროენერგიის გამოყენებამ. ვაზისათვის მოწყობილ სპეციალურ ადგილას სანერგე მასალას ჰერებენ 5-8 წამს. ამ პერიოდში აქ ატარებენ მაღალი ძაბვის ელექტროდენს, იქმნება ელექტროველი. ამის შემდეგ წარმოებს ჩვეულებრივი მყნობა.

სარგავი მასალის ასეთმა სტიმულირებამ საგრძნობლად დაიჩქარა პირველადი ფესვების განვითარება, უზრუნველყო ხარისხოვანი ნამყენის მიღება.

ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘ ᲘᲠ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ...

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ კვირა მუსიკალური თვალსაზრისით მრავალფეროვანი იყო. არ შეიძლებოდა ხელოვნების მოყვარულნი არ მიეზიდა თეატრალურ და საკონცერტო ცხოვრებას, რომელიც მცირე მნიშვნელობის მოვლენებით როდი აღინიშნა, თუმცა, სამწუხაროდ, უთანაბრო მხატვრული დონით გამოირჩეოდა.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიური კონცერტის დამსწრე ნამდვილად გაიხარებდა ახალგაზრდა მუსიკოსის გამოჩენით. ეს არის ჩელოს დამკვრელი თამარ გაბარაშვილი. მას მევიოლონჩელის უველაზე ძვირფასი თვისება აქვს — ხავერდოვანი ბგერა, რომელიც სმენას ატკბობს. ლალოს კონცერტის პირველივე ტაქტებიდან მის ხელში ჩელო შთაგონებით „ამღერდა“. ემოციური შემსრულებელი თ. გაბარაშვილი გვიზიდავს შინაგანი სიწმინდით და ჭაბუკური გატაცებით. მის დაკვრაში ჯერ კიდევ ყველაფერი სრულყოფილი როდია და, კაცმა რომ თქვას, ეს ჭაბუკობაც თანდათან დაუომობს ადგილს ოსტატობასა და სიმწიფეს. ლირიკულობის, პალიტრის ფერადოვნების მიუხედავად მას ჯერ კიდევ აკლია ძალა, შემართება, მასშტაბურობა.

ᲘᲛᲐᲕᲔ ხალამოს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის (დირიჟორი ზაქარია ხუროძე) პროგრამაში ყურადღება მიიქცია ორმა ნაწარმოებმა: შუმანის „მანფრედმა“ და ჩაიკოვსკის „ჰამლეტმა“, რომლებიც ჩვენს კონცერტებზე იშვიათად სრულდება.

დირიჟორ ზ. ხუროძეს უაღრესად ძვირფასი თვისება აქვს — სისტემატურად აფაროთებს ორკესტრის სიმფონიურ რეპერტუარს, რისთვისაც მსმენელის მადლიერებას იმსახურებს. უკანასკნელ დროს ჩვენთან აყალერდა მსოფლიო მუსიკალური ლიტერატურის დიდი ხნის განმავლობაში დაუმსახურებლად დავიწყებული ქმნილებები.

უვერტიურა-ფანტაზია „ჰამლეტის“ შესრულება თავისთავად ფრიად საინტერესოა, მაგრამ ნაწარმოებმა მოულოდნელი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და მისი მუსიკალური ინტერპრეტაციის ძირითადი ნაკლი იყო ერთგვარი სიმძიმე, „სიტლანქე“. როგორც ჩაიკოვსკის ყველა ნაწარმოები, „ჰამლეტიც“ ღრმა ადამიანური ნაწარმოებია, პიროვნების ტრაგედიაა. ამ ქმნილების ჭარბად ხმიან შესრულებაში არ იგრძნობოდა ჩაიკოვსკის ყოვლისმომცველი ლირიკა. სამაგიეროდ შეუძლებელი იყო მსმენელი არ გაეტაცა ზ. ხუროძის დირიჟორობით წარმოდგენილ შუმანის რომანტიკულ და მგზნებარე „მანფრედს“.

ზ. ᲤᲐᲚᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაიდგა ორი ოპერა. ო. თევდორაძის „ლეგენდა თბილისზე“ ცალკე კრიტიკული განხილვისა და სერიოზული მსჯელობის ღირსია, ხოლო მასკანის „სოფლის ღირსების“ დადგმამ ჩვენი მსმენელის დამაკმაყოფილებელი რეზონანსი გამოიწვია. მასკანის შესანიშნავი მუსიკა ნამდვილ ტკბობას აგრძნობინებს ადამიანს, მით უფრო, როცა მას ეუოდენ პოეტურად აყალერებს შთაგონებული მუსიკოსი ოდისეი დიმიტრიადი. სოპერო თეატრის ორკესტრისა და პირველ რიგში სიმებიანი ჯგუფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მოგვხიბლა ინტონაციური სიწმინდით, მუსიკალობითა და არტისტიზმით. ერთმოქმედებიანი „სოფლის ღირსება“ აღსავსეა შინაგანი დრამატიზმით და ადამიანური ვნებებით. ოპერის სამი ძირითადი პერსონაჟი, მათი შინაგანი სამყარო და გრძნობების შეჯახება დაძაბულობამდე აღწევს.

შემსრულებელთაგან უწინარეს ყოვლისა გაგვახარა ა. ჩაკალიდმ თავისი შინაგანი ტემპერამენტით (ტურიდუ). მან შესძლო მსმენელის გატაცება ხმის ლამაზი ყღერადობითა და ემოციურობით.

ოპერაში დრამატიზმით აღსავსე და რთულია ქალის ერთ-ერთი პარტია (სანტუცა). ჰ. შმალცელი გამომსახველად მღერის, თუმცა გენერალურ რეპეტიციაზე მისი ხმა უკეთესად, უფრო ბუნებრივად ისმოდა, ვიდრე პირველი წარმოდგენის დროს.

პატარა, მაგრამ ფრიად ემოციურია ალფიოს პარტია. სამწუხაროდ, მომღერალ ე. მირიანაშვილს ამ პარტიაში აკლია ვოკალური ბრწყინვალება.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს „სოფლის ღირსების“ დადგმა (რეჟისორი მ. კვალიაშვილი) და გამოვნებით შესრულებული მხატვრული გაფორმება (მხატვარი ი. ასკურავა).

ᲛᲘᲠᲐ ᲤᲘᲩᲮᲐᲫᲔ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ბოროდინის სახელობის კვარტეტი (მარცხნიდან): დიმიტრი შუბალინი, იაროსლავ ალექსანდროვი, როსტისლავ დუბინსკი, ვალენტინ ბერლინსკი. ამ დღეებში კვარტეტმა კონცერტი გამართა თბილისში.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ?

ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲚ დროს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები დიდად დაინტერესდნენ დედამიწაზე ჰავის გადასხვაფერების პრობლემებთან.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა საბჭოთა ინჟინრის ვ. ჩერენკოვის პროექტი: „ჰავის შეცვლა და ღამით დედამიწაზე ხელოვნური განათების შექმნა რგოლის საშუალებით, რომელიც დედამიწის ირგვლივ მბრუნავი მცირე ნაწილაკებისაგან შედგება“.

როგორც ცნობილია, მხოლოდ სინათლის ენერგიის კოლოსალური წყაროს — მზეს შეუძლია გარდაქმნას დედამიწაზე ჰავის პირობები. ინჟინერ ჩერენკოვის აზრით, ადამიანმა ეს ენერგია იმ მიმართულებით უნდა წარმართოს, რომელიც მას სჭირდება.

დღეისთვის უკვე შექმნილია ტექნიკური მოწყობილობანი, რომლებშიც წყლით სავსე ქვაბებისაკენ მიმართული მზის ენერგიის წყალობით წარმოიქმნება ორთქლი. ეს ორთქლი ამოძრავებს ტურბინებს.

სომხეთში აშენდება მსოფლიოში უდიდესი მზის ელექტროსადგური, რომლის მოქმედების პრინციპი სწორედ. ამ ეფექტზეა დამყარებული. მაგრამ ეს კერძო შემთხვევაა. რა სარკე უნდა იყოს ისეთი, რომ მზის სითბო შეაგროვოს და მარადიული ყინვის მხარისაკენ წარმართოს? სად უნდა იშოვნოს ადამიანმა ასეთი „კოსმოსური სარკე?“

ინჟინერ ჩერენკოვის აზრით ამგვარი სარკის მაგივრობა შეუძლიათ პაწაწინა გაუმჭვირვალ ნაწილაკებს, რომლებსაც ადამიანი მძლავრი რაკეტების მეშვეობით ატყორცნის კოსმოსურ სივრცეში. ნაწილაკები დედამიწის ირგვლივ 1.000-1.500 კილომეტრ სიმაღლეზე ერთ მთლიან უზარმაზარ რგოლად შეიკვრებიან და სატურნის გარშემო არსებულ სარტყელთა მსგავსად წარმოიქმნება თავისებური სარტყელი.

ამ სარტყელმა საჭიროა იმოძრაოს წამში რვა კილომეტრის სიჩქარეფით, რათა რაც შეიძლება დიდხანს შერჩეს აღნიშნულ სიმაღლეზე, არ შეიჭრას სქელ ატმოსფერულ ფენებში და არ დაწვას. გაანგარიშებანი, რომლებიც ინჟინერმა ჩერენკოვმა გააკეთა, ნათლად მოწმობენ, რომ ერთ კილოგრამ მტვრისებრ ნაწილაკებს ხუთი ათასი კვადრატული მეტრი ზედაპირი აქვს. ამ ფართობს კი შეუძლია გაფანტოს 2.400 კილოვატის ეკვივალენტური სინათლის ენერგია.

თუ ჩვენი პლანეტის ხელოვნური სარტყელის განი მხოლოდ ას კილომეტრს მიაღწევს, მაშინ დედამიწისაკენ წამოსული ენერგია 270 მილიარდი კილოვატი იქნება. გაუმჭვირვალი ნაწილაკებისაგან შექმნილი სარტყლის განის ზრდასთან ერთად შესაბამისად შეიცვლება გამოსხივების სიძლიერეც. ასე რომ შესაძლებელი ხდება ამ გზით იმდენი ენერგია მივიღოთ, რამდენიც საჭირო იქნება დედამიწაზე მარადიული ყინულის ზონათა მოსასპობად, პოლუსებზე ყინულის გასადნობად.

ჩერენკოვის პროექტი მარტო ჰავის შეცვლას არ ითვალისწინებს. ავტორს გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე ხელოვნური განათების საკითხიც. სარტყელის მიერ არეკლილი შუქი ოცდაათიდან ორას ლუქსამდე მიაღწევს. მაშინ როცა კითხვისათვის ადამიანს მხოლოდ ორმოცდაათლუქსიანი განათება ესაჭიროება.

ᲐᲛᲘᲜᲓᲚ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ბოლქ-ბოლქვად შექუჩებულ თეთრ ღრუბლებში დიდ სიმაღლეზე შეიჭრა თვითმფრინავი „ილ-12“. მანქანის კაბინაში სპეციალურ

მოძმე რესპუბლიკების გაზეთებიდან

მეომართა მამაცობა

ეს ვილნიუსში მოხდა. მუშებმა, რომლებსაც როტუნდოს ქუჩაზე თბოცენტრალის სადენი გაჰყავდათ, № 8 სახლის ეზოში აღმოაჩინეს აუფეთქებელი საავიაციო ბომბი, რომელიც იქ ომის დროიდან დარჩენილიყო.



შემთხვევის ადგილას მივიდა ვილნიუსის გარნიზონის მეომართა ჯგუფი უფროს ლეიტენანტ გიორგი კორჩაგინის მეთაურობით. გამოცდილმა მესანგრეებმა გამოარკვიეს, რომ მიწაში 250-კილოგრამიანი ბომბი იყო.

...თხრილში ჩაეშვა რიგითი ჯარისკაცი ნიკოლოზ ვლასოვი. მას ხელში აქვს ნაღმსაძიებელი, რომლის საშუალებითაც უურადღებით სინჯავს ყოველ გოჯ მიწას, შემდეგ კი მოახსენებს მეთაურს, რომ ბომბის ამოღების ოპერაციის დაწყება შეიძლება. უმცროსი სერჟანტი რეზო სახვაძე და ეფრეიტორი ივანე ჩესკიდოვი მესანგრის ნიჩბებით ფრთხილად თხრიან მიწას ბომბის გარშემო. ყოველი მოძრაობა განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ყურადღებას მოითხოვს.

მაგრამ მესანგრეები ჩინებულად იცნობენ თავიანთ საქმეს. მალე ბომბი ამოიღეს და ავტომანქანას დაუდეს. ერთი საათის შემდეგ შორს ქალაქგარეთ აფეთქება გაისმა. საშიშროება ლიკვიდირებული იყო.

სურათზე: უმცროსი სერჟანტი რ. სახვაძე და ეფრეიტორი ი. ჩესკიდოვი ბომბის ამოღების შემდეგ.

ფოტო ლ. მოროზოვისა.
(გაზ. „სოვეტსკაია ლიტვა", 13/II).

შეიქმნა საქართველოს სავაჭრო პალატა

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ გაიმართა რესპუბლიკის სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სავაჭრო პალატის შექმნას.

კრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მრადგილემ ზ. კვაჭაძემ.

ინფორმაცია სავაჭრო პალატის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ რ. ელიგულაშვილმა.

საქართველოს სავაჭრო პალატა საზოგადოებრივი ორგანიზაცია იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს შინავაჭრობის განვითარებას, საქართველოს ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებას საზღვარგარეთის ქვეყნებთან. იგი საქმიან და საზოგადოებრივ ურთიერთობას დაამყარებს უცხოეთის სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციებთან, მონაწილეობას მიიღებს სავაჭრო პალატების საერთაშორისო ყრილობებში.

სავაჭრო პალატა მოაწყობს საგარეო და შინავაჭრობის მრეწველობის გამოფენებს, როგორც რესპუბლიკაში, ისე საზღვარგარეთ, გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენებს, ცნობარებსა და სხვა მასალებს.

ფართო მოხმარების საქონლის საუკეთესო ნიმუშები, შეკრებილი საქართველოს სავაჭრო პალატაში, გამოყენებულ იქნება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების წარმოებაში დასახერგავად.

კრებამ განიხილა საქართველოს სავაჭრო პალატის შემადგენლობის საკითხი. პალატის თავმჯდომარედ არჩეულია რ. ელიგულაშვილი, პრეზიდიუმის წევრებად — ლ. რუხაძე, პ. ცაგარეიშვილი, ვ. ებრალიძე და ვ. ერქომაიშვილი.

არჩეულია პალატის სარევიზიო კომისია. (საქდესი).

პიანინო, მაცივარი, ტელევიზორი...

სოფლად მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება კულტსაქონელზე. შარშან ჩვენს რესპუბლიკაში გაიყიდა 23 მილიონი მანეთის წიგნები, 19.000 ცალი რადიომიმღები, 23 ათასი საკერავი მანქანა, 3 ათასი ტელევიზორი, 600 პიანინო, 3.100 მაცივარი, დიდძალი სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი, ელექტროუთოები და სხვ. წელს კიდევ უფრო გადიდდება კულტსაქონლის მიწოდება სოფლად, მეტი რაოდენობით გაიგზავნება ისეთი საქონელი, როგორიც არის პიანინო, ტელევიზორი, რადიომიმღები, მაცივარი და სხვ.

საბჭოთა სტუმრები ამერიკაში

ვაშინგტონი, 17 თებერვალი. (საქდესი). დღეს დილით საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების დელეგაციის წევრებმა, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებიან, დათვალიერეს პრეზიდენტის ოფიციალური რეზიდენციაა თეთრი სახლი და გაეცნენ ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის მუშაობას ბელტსვილში. საბჭოთა სტუმრების ჯგუფმა ინახულა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტის ვაშინგტონის სახლი მაუნტ-ვერნონში.

ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 17 თებერვალი. (საქდესი). მორიგ პრესკონფერენციაზე, რომელიც დღეს გაიმართა, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა უპასუხა კორესპონდენტის კითხვაზე, როგორ მიმდინარეობს სამი სახელმწიფოს ეენევის მოლაპარაკება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. იგი, ისევე როგორც წინა პრესკონფერენციაზე, შეეცადა დაესაბუთებინა ამერიკის წარსული კვირის წინადადებათა „დიდი მნიშვნელობა". პრეზიდენტმა კომენტარი გაუკეთა საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილ წინადადებებს იმ მოვლენების აღგილობრივ გამოკვლევის შესახებ, რომლებიც ეკვეთ მიჩნეულია ატომგულის მიწისქვეშა აფეთქებად, და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყურადღებით სწავლობენ ამ საბჭოთა წინადადებებს. პრეზიდენტმა ახალი საბჭოთა წინადადებები დაახასიათა როგორც „წინ გადადგმული ნაბიჯი". მაგრამ, მისი აზრით, ძნელი იქნებოდა გამოკვლევის ყოველწლიური კვოტების დადგენა.

ეიზენჰაუერს კითხეს, შეაშფოთა თუ არა იგი იმან, რომ საფრანგეთმა აფეთქა ატომური ბომბი და განზრახული აქვს უახლოეს დროში აფეთქოს მეორე, თუ მიაჩნია, რომ დასავლეთის თავდაცვას აძლიერებს ის, რომ საფრანგეთს ექნება ატომური ბომბი. თავის პასუხში ეიზენჰაუერმა გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ 1947 წელს ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე ბარუხ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე საშიში პერიოდი კაცობრიობის ცხოვრებაში იქნება ის დრო, როცა ატომური იარაღის მფლობელი გახდება ბევრი ქვეყანა.

რა თქმა უნდა, განაგრძო პრეზიდენტმა, შექმნილ ვითარებაში სავსებით ბუნებრივი იყო, რომ ინგლისი, ხოლო შემდეგ საფრანგეთი გახდნენ ატომური იარაღის მფლობელნი. მიუხედავად ამისა, მან იმედი გამოთქვა, რომ ატომური იარაღის მფლობელი ქვეყნები შეძლებენ შეუთანხმდნენ ერთმანეთს და ამ შეთანხმებას მოაყვება ის, რომ სხვა ქვეყნები აღარ ეცდებიან გახდნენ ატომური იარაღის მფლობელნი. ცხადია, ხაზგასმით აღნიშნა ეიზენჰაუერმა, ადვილი არ იქნება ასეთი თანხმობის მიღება სხვა ქვეყნებისაგან, თუ გავითვალისწინებთ ეროვნული პრესტიჟის საკითხებსა და სხვა ეროვნულ ფაქტორებს. მაგრამ, განაცხადა მან, იმედი მაქვს, რომ ასეთი შეთანხმება მოხდება.

შემდეგ ეიზენჰაუერი შეეხო მომავალ თათბირს უმაღლეს დონეზე, და განაცხადა, რომ ამ თათბირის სამ დასავლეთელ მონაწილეს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს — მჭიდრო და მუდმივი კონტაქტი აქვთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამი დასავლეთელი მონაწილე უმაღლესი დონის თათბირზე გამოვა აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით.

ეიზენჰაუერმა კომენტარი გაუკეთა ამ დღეებში თეთრი სახლის მიერ კონგრესში გაგზავნილ პრეზიდენტის წერილს ეგრეთწოდებული „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის პროგრამის" შესახებ და განაცხადა, რომ შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში არ არის სხვა პროგრამა, რომელიც იმდენადვე, როგორც ეს, შეესაბამებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს და ასევე დიდად სასარგებლო იყოს ამერიკის ეკონომიკისათვის.

ჰერტერი აიძულეს ელიარებინა სიმართლე

ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში

ვაშინგტონი, 17 თებერვალი. (საქდესი). დღეს ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისია შეუდგა ეგრეთწოდებული „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის პროგრამის" განხილვას, რომელიც ჩამოყალიბებულია პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გუშინდელ წერილში.

სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა, რომელმაც მთავრობის სახელით მხარი დაუჭირა ამ პროგრამას, დიდი ყურადღება დაუთმო მსოფლიო ასპარეზზე ძალების თანამედროვე განაწილების ანალიზს. მან განაცხადა, რომ „მუდმივი და ძირითადი ფაქტორი" თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა ის არის, რომ არსებობს ერთი მხრივ „თავისუფალი (ე. ი. კაპიტალისტური.—რედ.) სამყარო", ხოლო მეორე მხრივ „კომუნისტური სამყარო", რომელიც მოიცავს დედამიწის მოსახლეობის მესამედს:

ამასთანავე, განაგრძო მან, „მუდმივი და ძირითადი ფაქტორია ის გარემოებაც, რომ კომუნისტური ბლოკის ფარგლებს გარეთ არის ასეულ მილიონობით ადამიანი, რომელნიც იბრძვიან იმისათვის, რომ თავი დააღწიონ წყეულ სიღარიბეს, და რომ ეს ადამიანები დიდად ზრუნავენ გამონახონ თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ყველაზე მოკლე და ყველაზე ეფექტიანი გზა".

დასვა რა კითხვა, თუ როგორი უნდა იყოს შეერთებული შტატების პოზიცია, ჰერტერმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები განზე ვერ გადგებიან, რადგან საბჭოთა კავშირის მაგალითს უდიდესი მიმზიდველი ძალა აქვს სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხებისათვის. ბევრი ამ ქვეყნისათვის, განაცხადა მან, „დამახასიათებელია ღრმა და მზარდი სურვილი და მისწრაფება გაიუმჯობესონ მდგომარეობა და მიაღწიონ მატერიალურ პროგრამას. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ კომუნისტურ ელიტებს, ჰერტერმა, — ნათელია, რომ ამ მიმზიდველი ძალისა და კომუნიზმის ზეგავლენისათვის წინააღმდეგობის გასაწევად საჭიროა ამ ქვეყნებს ჰქონდეთ არჩევანი — კომუნიზმის ისეთი ალტერნატივა, რომელიც რაღაც მეტი იქნება, ვიდრე სტატუს კვოს შენარჩუნება".

სახელმწიფო მდივნის აზრით, შეერთებულ შტატებს მით უფრო ესაჭიროებათ წარუდგინონ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს რაიმე ალტერნატივა, რომ საბჭოთა კავშირი წლითიწლობით აძლიერებს ეკონომიურ დახმარებას ამ ქვეყნებისადმი. ამ დახმარებას, „რომელსაც უდიდესი მიმზიდველი ძალა აქვს მიმღებისათვის, — აღნიშნა მან, — ახასიათებს აშკარა სურვილი (საბჭოთა კავშირისა. — რედ.) უზრუნველყოს ისეთი პროექტები, რომლებითაც დაინტერესებული არიან სუსტად განვითარებული ქვეყნები". ჰერტერმა ხაზი გაუსვა აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირი „არ მოითხოვს ანგარიშგების სხვადასხვა შემოწმებას, რომელიც დაკავშირებულია შეერთებული შტატების პროგრამის განხორციელებასთან".

სახელმწიფო მდივანი შემდეგ ამტკიცებდა, რომ კონგრესისათვის წარდგენილი ეგრეწოდებული „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის" პროგრამა სწორედ არის საბჭოთა კავშირის მაგალითისა და დახმარების ის ალტერნატივა, რომლის საშუალებითაც შეერთებული შტატები აპირებენ გადაიბრონონ სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხები. მაგრამ კომისიის წევრთა მრავალი კითხვის პასუხად იგი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ისევე, როგორც წინა წლებში ამ პროგრამისათვის გამოთხოვილი 4.175 მილიონი დოლარის მომეტებული ნაწილი განკუთვნილია სამხედრო მიზნებისათვის, რომელთაც საერთო არა აქვთ რა სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის განტკიცებასთან.

ფერჰათ აბასის მიმართვა

პარიზი, 18 თებერვალი. (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ტუნისიდან იუწყება, გუშინ ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურმა ფერჰათ აბასმა მიმართა ალჟირში მცხოვრებ ევროპელებს.

ფერჰათ აბასმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირის პრობლემა შეიძლება გადაჭრას მხოლოდ „თვითგამორკვევის უფლების ლოიალური განხორციელების" გზით, გარედან ჩაურევლად. „ვერავითარი თავსმოხვეული სტატუსი, — განაცხადა მან, — ვერ დამყარებს მშვიდობას და ვერ უზრუნველყოფს მომავალს". შეეხო რა ალჟირის მომავალს, ფერჰათ აბასმა თქვა, რომ ახალი ალჟირი არ მიმართავს არც რასობრივ ბარიერებს და არც რელიგიურ სიძულვილს. „ალჟირის რესპუბლიკაში, რომელსაც ერთად ავაშენებთ, ყველასათვის მოძებნება ადგილი და სამუშაო".

აიკრძალოს ატომური იარაღი!

ლონდონი, 18 თებერვალი. (საქდესი). პროფესორმა ბერნალმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტ-აღმსრულებელმა გააკეთა შემდეგი განცხადება საფრანგეთის ატომური ბომბის საჰარაში გამოცდის შესახებ.

„მსოფლიომ აღშფოთებით შეიტყო საფრანგეთის პირველი ატომური ბომბის აფეთქება, რომელიც განხორციელდა მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ბევრი მთავრობისა და ხალხის მოწოდებისა თავი შეიკავონ ასეთი ნაბიჯისაგან. აფრიკელი ხალხებისათვის ადვილი როდი იქნება ამ მოქმედების პატივება, რაც განხორციელდა მათს მიწაზე, მათი გარკვეულად გამოთქმული სურვილის წინააღმდეგ.

ამ გამოცდამ, რაც განხორციელდა გამოცდის დარგში დაზავების პერიოდში, რომელსაც იცავენ ძირითადი ატომური სახელმწიფოები, პერიოდში, როცა მოლაპარაკება გამოცდის აკრძალვის შესახებ გადამწყვეტ სტადიას უახლოვდება, შეიძლება მხოლოდ ზიანი მოიტანოს. მას შეუძლია მხოლოდ სტიმული მისცეს სხვა ქვეყნებს, განსაკუთრებით ფედერაციულ გერმანიას, შექმნან ატომგულის იარაღი და, ამრიგად, გადიდდეს ახალი მსოფლიო ომის რისკი.

საფრანგეთის ჭეშმარიტი დიდება ის იქნებოდა, რომ დაიცვას საფრანგეთის მთავრობის 1946 წლის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ საფრანგეთის მთავრობა ატომურ ენერგიას გამოიყენებს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით. ამ სულისკვეთებით მოქმედება დიდი მეცნიერი ჟოლიო კიერი, რომელმაც ესოდენ ბევრი რამ გააკეთა, რათა დახმარებოდა საფრანგეთს დაუფლებოდა ახალ ძალას, რასაც მეცნიერება იძლევა.

ამ ძალიერების გამოყენება ძალის დემონსტრაციისათვის უკან გადადგმული სამწუხარო ნაბიჯია, რასაც არავითარი წვლილი არ შეაქვს ჩვენს მეცნიერულ პროგრესს. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ. კომუნიზმის რადიკალურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სახავენ უკლასო საზოგადოების მშვიდობისა და აყვავების საბოლოო და ხელული მიზნის მიღწევის გზას, შეუძლიათ მიიზიდონ უკმაყოფილნი და მოუთმენელნი, რომლებიც მატერიალური რესურსებისა და კვალიფიციური კადრების უდიდეს ნაკლებობას განიცდიან".

„ასეთ გარემოებაში, — განაგრძო ჰერტერმა, — ნათელია, რომ ამ მიმზიდველი ძალისა და კომუნიზმის ზეგავლენისათვის წინააღმდეგობის გასაწევად საჭიროა ამ ქვეყნებს ჰქონდეთ არჩევანი — ოდენ და რამაც კვლავ გამოიწვია ატმოსფეროს მოწამვლა, მიუხედავად იმედისა, რომ იგი სამუდამოდ შეწყდებოდა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ უკვე განაცხადა პროტესტი საჰარაში გამოცდის განზრახვის წინააღმდეგ. ახლა იგი უაღრესად დაბეჯითებით მოუწოდებს საფრანგეთის მთავრობას გააუქმოს ყველა შემდგომი გამოცდა ამ მოქმედების საყოველთაო დაგმობის გამო. ამის ნაცვლად საფრანგეთის მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს და გავლენა მოახდინოს უმაღლესი დონის თათბირზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ატომგულის იარაღის ყველა გამოცდის შეთანხმებული შეწყვეტა და აკრძალვა საყოველთაო და კონტროლირებული განიარაღების ფარგლებში".

ფრანგი მფრინავის ვერაგობა

პარიზი, 18 თებერვალი. (საქდესი). ტუნისის რადიომ გამოაცხადა, რომ საფრანგეთის თვითმფრინავი, რომელსაც ბაზა ალჟირში აქვს, ტუნისის საჰაერო სივრცეში შეიჭრა და რამდენიმე ბომბი ჩაგდო. მიყენებულია ზარალი.

რადიო იუწყება აგრეთვე, რომ საგარეო საქმეთა სტატს-მდივანმა სადოკ მოკა დემმა ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის ელჩს ტუნისში მტკიცე პროტესტი განუცხადა.

თათბირი ლიტერატურული კრიტიკის საკითხებზე

დღეს საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში (მაჩაბელის ქ. 13) გაიმართება თათბირი ლიტერატურული კრიტიკის საკითხებზე. განიხილება ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობა ქართულ მხატვრულ პერიოდიკაში („მნათობი", „ცისკარი", „ლიტერატურული გაზეთი", „ლიტერატურნაია გრუზია", „ლიტერატურული აჭარა").

თათბირს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ბ. ჟღენტი.

კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, კრიტიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები და პრესის მუშაკები.

თათბირის დასაწყისი დღის 2 საათზე.

დედის სიხარული

ფოტოტიუდი გ. დევიძისა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

⊙ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივმა კომიტეტმა დამტკიცა „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ბირმის კავშირის მეგობრობისა და ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულება" და „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ბირმის კავშირის მთავრობის შეთანხმება ორივე ქვეყნის საზღვრის საკითხის შესახებ".

⊙ მეხიკოს ერთ-ერთ საუკეთესო კინოთეატრში — „ვერსალში" თვენახევრის განმავლობაში უჩვენებენ კინოფილმს — „ადამიანის ბედი". სურათი უკვე ნახა დაახლოებით 100 ათასმა კაცმა. მექსიკის პრესა დიდად აფასებს საბჭოთა კინოფილმს.

⊙ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ტ. ივიჩუკი და პროფესორი ბ. მ. კედროვი, რომლებიც ჩინეთში იმყოფებოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით 6 კვირის განმავლობაში, სამშობლოში გამოემგზავრნენ. ჩინეთში ყოფნის დროს საბჭოთა მეცნიერებს შემოქმედებითი შეხვედრები ჰქონდათ ჩინელ კოლეგებთან, რომელთა დროს ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაციები მეცნიერული მუშაობის შესახებ ფილოსოფიის დარგში და ისაუბრეს მთელი რიგი ფილოსოფიური პრობლემების შესახებ, წაიკითხეს ლექციები.

⊙ დასავლეთ გერმანიაში გრძელდება მასობრივი პროტესტები ავადმყოფობის გამო დაზღვევის რეფორმის წინააღმდეგ, რომლის განხორციელება მკვეთრად გაუარესებს მშრომელთა მდგომარეობას. ჰესენის 57 ქიმიურ საწარმოში შეკრებილია 40 ათასზე მეტი ხელმოწერა ამ რეფორმის წინააღმდეგ.

⊙ კლაუსჰაიდის (ქვემო საქსონია) სამხედრო-საჰაერო პოლიგონის მახლობლად ჰაერში აფეთქდა ინგლისის რეაქტიული ბომბდამშენი. თვითმფრინავის ეკიპაჟი დაიღუპა. (საქდესი).

მანევრები საგერძნეთში

ლონდონი, 18 თებერვალი. (საქდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გუშინ საღამოს ალმოსავლეთით გამართა საბერძნეთის არმიის ნაწილების მანევრები. ამ მანევრების დროს საბერძნეთში პირველად გაუშვეს „ონესტ ჯონის" (დედამიწა-ჰაერი") ტიპის ორი ამერიკული რაკეტა. „ონესტ ჯონის" ტიპის რაკეტებს, რომლებითაც ახლა აღჭურვილია საბერძნეთის არმია, შეუძლიათ ზიდონ ატომური იარაღი.

ეპიკრძალოს ატომური იარაღი!

ლონდონი, 18 თებერვალი. (საქდესი). პროფესორმა ბერნალმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტ-აღმსრულებელმა გააკეთა შემდეგი განცხადება საფრანგეთის ატომური ბომბის საჰარაში გამოცდის შესახებ.

„მსოფლიომ აღშფოთებით შეიტყო საფრანგეთის პირველი ატომური ბომბის აფეთქება, რომელიც განხორციელდა მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ბევრი მთავრობისა და ხალხის მოწოდებისა თავი შეიკავონ ასეთი ნაბიჯისაგან. აფრიკელი ხალხებისათვის ადვილი როდი იქნება ამ მოქმედების პატივება, რაც განხორციელდა მათს მიწაზე, მათი გარკვეულად გამოთქმული სურვილის წინააღმდეგ.

ამ გამოცდამ, რაც განხორციელდა გამოცდის დარგში დაზავების პერიოდში, რომელსაც იცავენ ძირითადი ატომური სახელმწიფოები, პერიოდში, როცა მოლაპარაკება გამოცდის აკრძალვის შესახებ გადამწყვეტ სტადიას უახლოვდება, შეიძლება მხოლოდ ზიანი მოიტანოს. მას შეუძლია მხოლოდ სტიმული მისცეს სხვა ქვეყნებს, განსაკუთრებით ფედერაციულ გერმანიას, შექმნან ატომგულის იარაღი და, ამრიგად, გადიდდეს ახალი მსოფლიო ომის რისკი.

საფრანგეთის ჭეშმარიტი დიდება ის იქნებოდა, რომ დაიცვას საფრანგეთის მთავრობის 1946 წლის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ საფრანგეთის მთავრობა ატომურ ენერგიას გამოიყენებს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით. ამ სულისკვეთებით მოქმედება დიდი მეცნიერი ჟოლიო კიერი, რომელმაც ესოდენ ბევრი რამ გააკეთა, რათა დახმარებოდა საფრანგეთს დაუფლებოდა ახალ ძალას, რასაც მეცნიერება იძლევა.

ამ ძალიერების გამოყენება ძალის დემონსტრაციისათვის უკან გადადგმული სამწუხარო ნაბიჯია, რასაც არავითარი წვლილი არ შეაქვს ჩვენს მეცნიერულ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიმართა თხოვნით — სკვერს, სადაც დადგმულია სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი, მიაკუთვნოს ამ გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის სახელი.

ეს თხოვნა დაკმაყოფილებულია. საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ელბაქიძის დაღმართზე მდებარე სკვერს ეწოდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სკვერი. (საქდესი).

სურათზე: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სკვერი ელბაქიძის დაღმართზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

XXVII ჩემპიონატი



ლენინგრადი. 18 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს 6 გადადებული პარტიიდან ექვსივე დამთავრდა. ი. სახაროვს, მ. ტაიმანოვთან გადადებულ პარტიაში დაახლოებით თანასწორი მდგომარეობა ჰქონდა. როგორც შემდეგ გამოირკვა მას მცდარი სვლა ჩაუწერია, რაც ლაზიერის დაკარგვას იწვევდა. ამიტომ ი. სახაროვი ბრძოლის განუახლებლად დანებდა. ბ. გურგენიძემ დ. ბრონშტეინთან გადადებულ პარტიაში შეცდომა დაუშვა, წაგებული ფიგურა და 57-ე სვლაზე პარტიაც. გუფელდმა მოუგო ნ. კროგიუსს, ვ. ბაგირომა — ა. სუეტინს. ა. ლუტიკოვი ი. ნეისა და მ. ტაიმანოვ — ი. ნეის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

15 ტურის შემდეგ ლიდერებს ტ. ტროსიანსა და ვ. კორჩნოის თერთმეტ-თერთმეტი ქულა აქვთ, ე. გელერს 10,5 ქულა, ნ. კროგიუსს, მ. ტაიმანოვს და ლ. პოლუგაევსკის — ცხრა-ცხრა ქულა.

მე-16 ტური შედგება 20 თებერვალს.

ჭადრაკის მოყვარულებს აინტერესებთ

⊙ ვინ გახდება ჩემპიონი ⊙ ბოტვინიკი თუ ტალი ⊙ რომელი მოჰადრავის ტალანტს სცემენ თაყვანს ⊙ ყველაზე საშიში მეტოქე ⊙ საბადრაკო ნათლობა.

ჭადრაკის ჭეშმარიტ მოყვარულს ჩვეულებრივ ბევრი საჭადრაკო კითხვა „აწუხებს". მას სურს იცოდეს „ყველაფერი" და თანაც პირველი წყაროდან — გამოჩენილი გროსმაისტერებისაგან, ოსტატებისაგან.

ჭადრაკის ასეთი მოყვარულები ლენინგრადშიც არიან. ამიტომ სწორად მოიქცა ლენინგრადის ახალგაზრდული გაზეთი „სმენა", როცა შეკითხვით მიმართა XXVII ჩემპიონატის მონაწილეებს რამდენიმე „მტკივნეულ" საკითხზე. ვფიქრობთ, ეს კითხვა-პასუხი ინტერესს მოკლებული არ იქნება საქართველოს ჭადრაკის მოყვარულთათვისაც.

ვინ იქნება 1960 წლის ჩემპიონი? ამ შეკითხვაზე, ისევე როგორც დანარჩენ შეკითხვებზე, ჩემპიონატის მონაწილეებმა უპასუხეს III-VII ტურების შუალედში, როცა ლიდერები მხოლოდ გამოდიოდნენ „სარბენ ბილიკზე".

„ტ. პეტროსიანი" — დაწერეს ანკეტაში ვ. კორჩნოიმ და ვ. ბაგიროვმა; „ტ. პეტროსიანი ან ბ. სასსკი" — ფიქრობს ი. სახაროვი; „ვ. კორჩნოი" — უპასუხებენ ტ. პეტროსიანი და ა. ლუტიკოვი; „სმისლოვი, ტ. პეტროსიანი ან დ. ბრონშტეინი" — ასეთია ვ. ლიბერზონის აზრი; ბ. გურგენიძემ სიმპათია დ. ბრონშტეინს გამოუცხადა.

ბევრმა უპასუხა მოკლედ „არ ვიცი". დიპლომატიური იყო დ. ბრონშტეინის პასუხი: „ქვეყნის ჩემპიონი იქნება ლენინგრადიდან, სტუმრებმა თავაზიანობის გამო მათ უნდა დაუთმონ ადგილი". ემმაკურია ი. ავერბახისა და ნ. კროგიუსის პასუხი. ისინი გვპირდებიან გამარჯვებული დაგვისახელონ... 26 თებერვალს, ჩემპიონატის დამთავრების დღეს.

განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა შეკითხვა: ვინ გაიმარჯვებს მ. ბოტვინიკ-მ. ტალის მატჩში?

— მ. ბოტვინიკი! — ამბობენ ნ. კროგიუსი და ვ. ლიბერზონი.

— მ. ტალი! — უპასუხებენ ვ. კორჩნოი, ბ. გურგენიძე, ა. ლუტიკოვი, ი. სახაროვი, ვ. ბაგიროვი, ლ. შამკოვიჩი. სხვათა შორის, ბ. გურგენიძე დამატებით წერს: ჭადრაკის ისტორიის ლოგიკის ლით უპირატესობა მ. ტალის ბრალია. იგი ახალი მოვლენაა საჭადრაკო ბელზე და მომავალიც მას ეკუთვნის.

მ. ტაიმანოვი გაურბის პასუხსა და ბრალობს: „ბევრს ხუ შემეკითხებიან, ხელს კი დავასახელებ".

ყველამ სიამოვნებით უპასუხა შეკითხვაზე: „რომელი მოჭადრაკის ტალანტს თაყვანისმცემელი ხართ?"

პ. მორფის! — წერს დ. ბრონშტეინი. ხ. კაბალანკა და ა. რუბინშტეინი ამბობს ტ. პეტროსიანი; მ. ჩიგორინის უპასუხებს ბ. სპასკი; ა. ალიოხინის, ბოტვინიკისა და დ. ბრონშტეინის აცხადებს ე. გელერი; ვ. კორჩნოის წერს დ. ბრონშტეინის ტალანტი.

„ჩემთვის უმაღლეს საჭადრაკო ავტორიტეტს, — წერს მ. ტაიმანოვი, — წარმოადგენს ჩემი მასწავლებელი მ. ბოტვინიკი".

მ. ტალს სიმპათიები გამოუთქვეს ლ. ტატებმა ლ. შამკოვიჩმა, ა. ლუტიკოვმა, ი. სახაროვმა, ლ. პოლუგაევსკიმ და ბაგიროვმა.

ერთ-ერთი შეკითხვა შეეხებოდა „ძნელ" მოწინააღმდეგეებს. მონაწილეებს უნდა დაესახელებინათ მოჭადრაკე, რომელიც მათ „სისხლს უშრობს", უსიამოვნებას აყენებს. მ. ტაიმანოვი ასახელებს ვ. სმისლოვს, რომლისათვის ჯერ არც ერთი პარტია არ მოუგია.

იყო ასეთი შეკითხვაც: „როგორ დგიყო თქვენი საჭადრაკო კარიერა?"

ბევრმა საჭადრაკო ნათლობა მიიღეს, მამისა თუ ძმის დახმარებით. ბევრმა ზოგიერთი უჩვეულოდ „დაუნათლავდა" ჭადრაკს. „წავიკითხე კოლეგენის კალენდარში თამაშის წესები და გამიტაცა", — წერს ნ. კროგიუსი. ვ. სმისლოვი იგონებს: „პიონერობანაკში კარტინი იყო, და მე იძულებული ვიყავი ეთამაშა მეთამაშე, რადგან სხვა გასართობი არაფერი გვქონდა".

ასეთია ყველაზე საინტერესო პასუხები „სმენის" ანკეტაზე.

თ. გიორგაძე.
(ლენინგრადი, საკ. კორ.).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

19 თებერვალი

თეატრსა და ეკრანებზე

ოპერისა და ბალეტის — კარმენი (მე-8 აბონ. მე-7 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ჰამლეტი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ფერი, **გრიბოედოვის სახელობის** — თხუნელა, **მუსიკალური კომედიის** — გვიან და ბედნიერად (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — ჩვენ სამნი ვარ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჯადოსნური ხილაბანდი (აბ. № 1, 10 ს., აბ. № 21, 5 ს.), **თოჯინების ქართული** — სიცოცხლის ყვავილი (11 ს.), დიდი ივანე (4 ს.).

ეკრანებზე

19.00 — კონ